ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

სამართალმცოდნეობისა და საჯარო მმართველობის ფაკულტეტი

თეონა კაკაციძე

საზოგადოებრივი გაერთანებების როლი თანამედროვე სახელმწიფოში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ხათუნა მურადიშვილი
საჯარო მმართველობის აკადემიური დოქტორი

ხიჭაური

2021

აბსტრაქტი

სამოქალაქო საზოგადოების სივრცეების გაგება არსებითი საკითხია. თუკი გვსურს ნორმების განხილვა და კონსესუსის მიღწევა, ძალაუფლებრივი კავშირების გამოწვევა და ხელახლა ფორმირება, რომელიც საბოლოოდ განსაზღვრავს სოციალური ქმედების წარმატებას. როდესაც ფორმების, ნორმებისა და სივრცეების ანალიზი ერთ ჩარჩოდ ყალიბდება, სამოქალაქო საზოგადოების მიღწევები ყველაზე კომპლექსურ და რთულ პირობებშიც კი შეიძლება დავინახოთ. ამგვარად დანახული სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს ეთდროულად მიზანს, მისი მიღწევის საშუალებას და მიზნებსა და საშუალებებზე ადამიანების ურთიერთკავშირისა და ჩართულობის ჩარჩოს.

სოციალურ მეცნიერებაში სამოქალაქო საზოგადოება დამაბნეველი კონცეფციაა, რადგან მისი ბევრი განსხვავებული დეფინიცია და გაგება არსებობს. არგუმენტები, რომლითაც მის ახსნას ცდილობენ, ხშირ შემთხვევაში სათანადოდ ვერ მიესადაგება. ჯერ კიდევ კლასიკური საბერძნეთის პერიოდიდან სამყაროს ცვლილებებზე დაკვირვების პარალელურად, მოაზროვნეები უბრუნდებოდნენ სამოქალაქო საზოგადოებას, როგორც ახალ ძალას, როგორც შესაძლებლობას ძველი, კარგად ნაცნობი საკითხების შესახებ იდეების ჩამოსაყალიბებლად. მაიკლ უოლცერის დეფინიციით, სამოქალაქო საზოგადოება - ეს არის ხალხის ნებაყოფლობითი გაერთიანების სივრცე, სადაც ადამიანები კოლექტიურ ქმედებას ახორციელებენ არსებითი მიზნებიდან გამომდინარე ხელისუფლებისა და ბაზრისგან შედარებითი დამოუკიდებლობის პირობებში.

სამაგისტრო ნაშრომის თემატიკა ეხება იმ საზოგადოებრივ გაერთიანებებს, რომელთაც უდიდესი როლი აქვთ თანამედროვე სახელმწიფოს ფორმირებაში. განსაკუტრებული ყურადღებაა დათმობილი საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარების პერიოდში საქართველოში არსებულ სამოქალაქო საზოგადოებებზე.

თეონა კაკაციძე

Abstract

It is important to understand the space of civil society. If we want to discuss norms and reach consensus, withdrawal/challenging re-forming power bonds that ultimately determine the success of social action. When the analysis of forms, norms and spaces forms a single structure, the achievements of civil society can be seen even in the most complex and difficult conditions. Thus, seen civil society is both a goal, a means to achieve it, and a framework for human interaction and involvement in goals and means.

In the social sciences, the concept of civil society is confusing because of the many different definitions and understandings of it. The arguments by which they try to explain this, in many cases it does not fit properly. As yet from the classical Greek period, in parallel with observing the changes in the world, thinkers returned to civil society as a new force, as an opportunity to formulate ideas on old, well-known issues, as an opportunity to formulate ideas about old, well-known problems.

According to Michael Walzer, civil society - is a voluntary association of people, where people take collective action in a context of relative independence from government and the market for primary goals.

The topic of the Master's thesis relates to public associations that play the greatest role in the formation of the modern state. Particular attention is paid to civil society in Georgia during the formation of Georgian statehood.

Teona Kakatsidze

შინაარსი

ანოტაცია ქართულად

ანოტაცია ინგლისურად

შესავალი 1

თავი I სამოქალაქო საზოგადოების იდეების ისტორია 5

1.1. სამოქალაქო საზოგადოების იდეები ანტიკური და შუა საუკუნეების მოაზროვნეებთან 6

1.2. სამოქალაქო საზოგადოება - ორგანიზებული თანამეგობრობა 9

1.3. სტამბოლის პრინციპები 12

თავი II საზოგადოება და სახელმწიფო 14

2.1. პირველი გაერთიანების მცდელობები ადრეულ სახელმწიფოებში 20

თავი III სამოქალაქო საზოგადოების ფორმები 22

3.1. არაკომერციული სექტორი 23

3.2. განვითარების სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები 25

3.3. გრასრუტ ასოციაციები 27

3.4. სოციალური მოძრაობები 29

3.5. სოციალური საწარმო და სოციალური მეწარმეები 30

თავი IV სამოქალაქო საზოგადოების ნორმები

4.1. სამოქალაქო საზოგადოება და სოციალური კაპიტალი 33

4.2. სამოქალაქო და არასამოქალაქო საზოგადოება 36

4.3. სამოქალაქო საზოგადოება და ცივილურობა 37

4.4. სამოქალაქო საზოგადოება და თანასწორობა 39

4.5. სამოქალაქო საზოგადოება და "კარგი მოქალაქე" 40

თავი V საზოგადოებრივი გაერთიანებების სივრცეები 41

5.1. სამოქალაქო საზოგადოება და მთავრობა 41

5.2. სამოქალაქო საზოგადოება და სამოქალაქო თავისუფლებები 43

5.3. სამოქალაქო საზოგადოება და საჯარო სფერო 45

5.4. ციფრული ეპოქის სამოქალაქო საზაგადოება 48

თავი VI ქართული საზოგადოებრივი გაერთიანებები და მათი მნიშვნელობა 49

დასკვნა 54

ბიბლიოგრაფია **57**

შესავალი

„მოქალაქეობის მისია გულისხმობს მოქალაქის მიერ ქვეყნისა და საზოგადოებრიობისათვის სამსახურის გაწევას და საერთო საზოგადოებრივი საქმისადმი თავდადებას პირადი გამორჩენისა და ინტერესების გარეშე. ეს ნიშნავს იმას, რომ მოქალაქე, პირველყოვლისა, მსახურია თავისი ქვეყნისა და საზოგადოებისა და ეს მსახურება არის ძირითადი ნიშანი სამოქალაქო საზოგადოებისა.“

გია მაისაშვილი

ეკონომისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე.

ცივილიზებული სამყაროს ერთადერთი, ყველაზე დიდი მონაპოვარი ადამიანი გახლავთ. ადამიანი არის სამყაროს არსებობისა და განვითარების ცენტრი, სუბიექტი, რომლის შემოქმედების დონეზეა დამოკიდებული ქვეყნის, სახელმწიფოს არსებობა და პროგრესი. პირველყოფილ საზოგადოებაში ადამიანი დომინირებს როგორც ბუნებითი უფლებების მატრებელი ინდივიდი, რომელიც ჯერ მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენისა და არსებობისათვის იბრძვის. ჯერ კიდევ შორსაა იმდროინდელი სოციუმი ისეთი ცნებებისაგან როგორიცაა სახელმწიფო, სუვერენიტეტი, საზოგადოებრივი გაერთიანება ერთი საერთო მიზნის მიღწევისათვის და ა.შ.

მთავარი და საინტერესო ამ საკითხში არის ის, რომ ადამიანი მარტო არ რჩება სამყაროში და ცდილობს დაჯგუფდეს, რაღაც ნიშნით გაერთანდეს არსებობის შესანარჩუნებლად. ასე თანდათან განვითარდა ცივილიზაცია და პრიმიტიული ჯგუფებიდან, რომელიც მსოფლიო ისტორიაში ცნობილია გვარის, ტომის, თემის სახელით, ადამიანები გაერთანდნენ ისეთ დიდ დაჯგუფებებში როგორიცაა პროფესიული გაერთიანებები, საგანმანათლებლო, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებები, გილდიები და სამოქალაქო საზოგადოებები.

ენციკლოპედიური განმარტებით საზოგადოება არის ერთმანეთთან ფიზიკურად, შეიძლება ვირტუალური ტერიტორიით, დაკავშირებულ ადამიანთა გაერთიანება. მათ შორის აუცილებლად არის რაიმე ფორმის საფუძველი - კულტურა, ეროვნება, განათლება, მიზნები, ამოცანები, იდეები და ა.შ. ანუ საზოგადოების არსებობას აუცილებლად აქვს საფუძველი, ძირითადი არსი მისი არსებობისა.

მიუხედავად მრავალფეროვნებისა საზოგადოება მისი მოცემულობიდან გამომდინარე შესაძლებელია დაჯგუფდეს გარკვეული ნიშნების მიხედვით:

1. ერთ ქვეყანაში, ერთ რეგიონში მცხოვრები ადამიანთა დიდი ჯგუფი, რომელსაც აქვს საერთო ტიპის ურთიერთობები, საერთო კანონმდებლობა, საერთო სახელმწიფო, საერთო რელიგია. მაგალითად მონათმფლობელური, არისტოკრატიული საზოგადოება;

2. ადამიანთა ჯგუფური გაერთანება საერთო მიზნის მისაღწევად რომელიც კონკრეტული ხასიათისაა. მაგალითად ხელოვანთა, მეცნიერთა, ადვოკატთა, მეწარმეთა საზოგადოებები;

3. ადამიანთა ჯგუფი რომელთა გაერთაიანების მიზანი სახელმწიფოსა და ადამიანს შორის ურთიერთობების დარეგულირებაა, რომელიც იცავს ადამიანს სახელმწიფოსა თუ სხვა სუბიექტის ზეწოლისა და შევიწროვებისაგან. მაგალითად სამოქალაქო საზოგადოება.

საზოგადოების ცნება სოციოლოგიის ნაწილს წარმოადგენს და მყარ ერთობას ნიშნავს, გარკვეულ სივრცეში განფენილ ადამიანთა ურთიერთთანაცხოვრებას, რომელსაც სტრუქტურული სახე გააჩნია. აღნიშნული გაერთიანებები აუცილებელია ისევ საზოგადოების წევრის ადამიანის საზოგადოებრივი მიზნების მისაღწევად. აღნიშნული თანამშრომლობა უფრო ცნობიერი ხასიათისაა, რომელსაც დამოუკიდებლობა გააჩნია.

საზოგადოებრივი ურთიერთობები უპირველესად არსებობს იმიტომ, რომ ადამიანთა ურთიერთობა საერთო ღირებულებების დაცვისა და რეალიზაციისკენაა მიმართული. საზოგადოების სიმყარე დამოკიდებულია თვით გაერთიანების სიმყარეზე, ინსტიტუციების ფორმირებაზე და ქმედუნარიანობაზე.

საზოგადოების, კულტურისა და პიროვნების მჭიდრო ურთიერთობების შედეგად ადამიანთა კავშირურთიერთობები ყალიბდება. რაც უფრო ურთიერთშეჭიდული და ერთმანეთში გადაწნული იქნება, მით უფრო მტკიცეა ის.[1]

სხვადასხვა დროსა და სივრცეში სხვადასხვა ტიპის საზოგადებრივი გაერთიანებები არსებობდა. გარკვეულმა მათგანმა თავისი ფუნქცია ამოწურა და შეწყვიტა არსებობა, ხოლო გარკვეული ნაწილი დღესაც აქტუალურად მოქმედებს.

არსებობს საზოგადოებრივი გაერთიანებები, რომლებმაც ტრანსფორმაცია განიცადა და სხვა სახით, სხვა მიზნებითა და ამოცანებით გააგრძელა ფუნქციონირება. აღნიშნულის არსი მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოებრივი გაერთიანებების მთავარი ამოცანაა უპასუხოს თანამედროვეობის გამოწვევებს და ამ ფონზე განავითაროს თავისი არსებობა. წინააღმდეგ შემთხვევაში აზრს მოკლებული იქნებოდა მათი ფუნქცია.

აქედან გამომდინარე საზოგადოებრივი გაერთიანებები მუდმივი განახლების პროცესშია, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის მათ არსებობას და რაც მთავარია რეალურად არსებობის უდიდესი შანსი აქვთ. ისინი ეხმარებიან სოციუმს თავისი უფლებების დაცვაში და თვითრეალიზებაში, ასრულებენ უდიდეს როლს სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის სწორი ბალანსის შენარჩუნებაში.

საზოგადოებრივი გაერთიანებების თანამედროვე სახეები ერთმანეთისაგან განსხვავდება მოქმედების არეალის, მიზნებისა და ამოცანების მიხედვით, მაგრამ მათ აქვთ საერთო კონცეფცია - ადამიანის მაქსიმალური თვითრეალიზაცია და ჩართულობა საზოგადოებრივ თუ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში და ამ ფონზე სახელმწიფოს განვითარების ხელშეწყობა. აქედან გამომდინარე არსებობს პოლიტიკური საზოგადოება, საგანმანათლებლო საზოგადოება, ადამიანის უფლებათა დაცვის საზოგადოება. ყოველი ამ საზოგადოებრივი ჯგუფების გარკვეულ კომპლექსურ გაერთიანებას წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოება.

სამოქალაქო საზოგადოება ის უმნიშვნელოვანესი ფენომენია, რომელზედაც დგას სახელმწიფო. იგი იმ დროიდან ყალიბდება და ვითარდება, როცა ჯერ კიდევ ტომებად ცხოვრობდა ხალხი, ერთი მიზნისა თუ იდეის გარშემო გაერთიანებულები იბრძოდნენ სასურველის მისაღებად.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანი გახლავთ საზოგადოებრივი გაერთიანებების, როგორც საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის არსებული ორგანიზაციის გაგების მცდელობა, რომელიც დაგვეხმარება უკეთ დავინახოთ რა ტიპის ქმედებებია ყველაზე მნიშვნელოვანი კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით, სად არის ხარვეზები და დარღვეული კავშირები, ხოლო ნორმების გაგება გვამცნობს იმ არეალებს სადაც

შეუძლიათ გამოიწვიონ სოციალური ცვლილებები ღირებულებების, რწმენის და იდეოლოგიის სახით.

სამაგისტრო ნაშრომი აქტუალურია იმდენად რამდენადაც საინტერესოა სინამდვილეში როგორ შეიძლება დემოკრატიის გაღრმავება, სიღარიბის შემცირება, მშვიდობის აღდგენა ან შენარჩუნება, ძალაუფლებრივი კავშირებისა და ბაზრის ეკონომიკის ტრანსფორმირება. მისი მიზანია დადგინდეს სამოქალაქო საზოგადოება რამდენად მნიშვნელოვანი ძალაა მრავალთაგან, რომელიც მუშაობს და წვლილის შეტანა შეუძლია აღნიშნული პრობლემების გადაჭრაში, თუ არსებობს კიდევ სხვა უფრო მნიშვნელოვანი საშუალებები.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს თეორიული და პრაქტიკული კვლევების საფუძველზე ჩამოყალიბდეს საზოგადოებრივი გაერთიანებების გაგება შემდეგი ასპექტებით. კერძოდ,

საზოგადოებრივი გაერთიანება - გულისხმობს ყველა რიგით ადამიანს, ნებისმიერ პირს, რომელიც იმყოფება კონკრეტული სივრცის ფარგლებში - თემი, მუნიციპალიტეტი, რეგიონი, ქვეყანა, მსოფლიო.

საზოგადოებრივი გაერთიანება - მოიცავს ყველა მოქალაქეს, ლტოლვილს, არარეგისტრირებულ პირს, ტურისტულ ან ბიზნეს მოგზაურობაში მყოფ ადამიანებს და სხვ.

საზოგადოებრივი გაერთიანება - წარმოადგენს საჯარო სერვისების მიმღებს, საჯარო სივრცის მომხმარებელს.

თემა I

სამოქალაქო საზოგადოების იდეების ისტორია

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია საზოგადოებრივი ღირებულება გამოხატავს იმგვარ ღირებულებას, რომელსაც ქმნის მთავრობა ან ორგანიზაცია საზოგადოების ხელშეწყობის მიზნით. საზოგადოებრივი ღირებულება მოიცავს ორ ასპექტს:

- რას აფასებს საზოგადოება ყველაზე მეტად?
- რა ქმნის ყველაზე მეტ ღირებულებას საჯარო სფეროში? - საზოგადოებრივი ფასეულობები - სიტყვა „ფასეულობა“ ეხება საზოგადოებრივი ღირებულების შექმნაში შეტანილი წვლილის რელევანტურობასა და სარგებლიანობას.

საზოგადოებრივი ღირებულება იქმნება, როდესაც იგი:

1. საზოგადოებისთვის ფასეულია;
2. სარგებლობს პოლიტიკური და სამართლებრივი მხარდაჭერით;
3. რეალისტურია ადმინისტრაციული და ოპერაციული თვალსაზრისით;

სამოქალაქო საზოგადოების სივრცეების გაგება არსებითი საკითხია. თუკი გვსურს ნორმების განხილვა და კონსესუსის მიღწევა, ძალაუფლებრივი კავშირების გამოწვევა და ხელახლა ფორმირება, რომელიც საბოლოოდ განსაზღვრავს სოციალური ქმედების წარმატებას. როდესაც ფორმების, ნორმებისა და სივრცეების ანალიზი ერთ ჩარჩოდ ყალიბდება, სამოქალაქო საზოგადოების მიღწევები ყველაზე კომპლექსურ და რთულ პირობებშიც კი შეიძლება დავინახოთ. ამგვარად დანახული სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს ეთდროულად მიზანს, მისი მიღწევის საშუალებას და მიზნებსა და საშუალებებზე ადამიანების ურთიერთკავშირისა და ჩართულობის ჩარჩოს.

და მაინც, რა არის სამოქალაქო საზოგადოება?

სოციალურ მეცნიერებაში სამოქალაქო საზოგადოება დამაბნეველი კონცეფციაა, რადგან მისი ბევრი განსხვავებული დეფინიცია და გაგება არსებობს. არგუმენტები, რომლითაც მის ახსნას ცდილობენ, ხშირ შემთხვევაში სათანადოდ ვერ მიესადაგება. ჯერ კიდევ კლასიკური საბერძნეთის პერიოდიდან სამყაროს ცვლილებებზე დაკვირვების პარალელურად, მოაზროვნეები უბრუნდებოდნენ სამოქალაქო

საზოგადოებას, როგორც ახალ ძალას, როგორც შესაძლებლობას ძველი, კარგად ნაცნობი საკითხების შესახებ იდეების ჩამოსაყალიბებლად. მაიკლ უოლცერის დეფინიციით, სამოქალაქო საზოგადოება - ეს არის ხალხის ნებაყოფლობითი გაერთიანების სივრცე, სადაც ადამიანები კოლექტიურ ქმედებას ახორციელებენ არსებითი მიზნებიდან გამომდინარე ხელისუფლებისა და ბაზრისგან შედარებითი დამოუკიდებლობის პირობებში.

სამოქალაქო საზოგადოება ზოგადი ფუნქციების მატარებელი სისტემაა, რომელიც შედარებით გლობალური ხასიათისაა და მოქალაქისა და სახელმწიფოს შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზეა ორინტირებული.

1.1. სამოქალაქო საზოგადოების იდეები ანტიკური და შუა საუკუნეების მოაზროვნეებთან

პლატონს[1] სურდა მოეწყო საზოგადოებრივი ცხოვრების უცვლელი ეთიკური ცენტრი, რისთვისაც კერძო საქმეებს სამოქალაქო ჯანმრთელობისა და მორალური მდგრადობის მოთხოვნების შესაბამისად ყოფდა. მისი მისწრაფება ეჭვქვეშ აყენებდა კერძო ინტერესებსა და შიდა ურთიერთობებს. პლატონმა ჩამოაყალიბა ზოგადი კატეგორიები, რომლებიც კონკრეტული შემთხვევების ანალიზისთვისაც გამოდგებოდა. შემდგომში ეს საქმე გადაეცა არისტოტელეს[2] - პლატონის მოსწავლეს, რომელსაც უნდა შეექმნა სამოქალაქო საზოგადოების ისეთი ხედვა, რომელიც პატივს მიაგებდა მრავალრიცხოვან ცხოვრებას, მაშინაც კი, როცა ეს უკანასკნელი ისეთ ყოვლისმომცველ პოლიტიკურ გაერთიანებას ემხრობოდა, რომელიც წევრების მორალურ ცხოვრებას განსაზღვრავდა.

არისტოტელე ხვდებოდა, რომ ადამიანები სხვადასხვა სფეროში ცხოვრობენ, სადაც თითოეული ხელს უწყობს მორალურ განვითარებას და პოლიტიკურ სტაბილურობას. მან კარგად იცოდა, რომ ჩვევები და უპირატესი ინტერესები ზღუდავს მორალური აღორძინების დიდ გეგმებს, ამიტომაც დაშორდა მასწავლებლის

---

[1] **პლატონი** - კლასიკური ეპოქის ბერძენი ფილოსოფოსი დაახლოებით ძვ. წ. 427 – 347 წლები

[2] **არისტოტელე** - ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, მეცნიერ-ენციკლოპედისტი

უნიტარულ[3] თვალსაზრისს. არისტოტელემ სამოქალაქო საზოგადოების ცნება განავითარა ცვლილებებისადმი პატივისცემის საფუძველზე. სამოქალაქო საზოგადოება პოლიტიკურ თემში ზოგად მნიშვნელობას იძენს, მაგრამ არისტოტელემ იცოდა რომ ინდივიდები მოქმედებენ კონკრეტული მიზეზებით და ორგანიზებისას დამხმარე დონეები ხელს უწყობენ მთლიანის კეთილდღეობას.

პოლიტიკური სფეროს სიფრთხილემ, თვითმმართველობამ და ორმხვრივმა აღიარებამ განსაზღვრა არისტოტელეს სამოქალაქო საზოგადოება - აქცენტი, რომელიც ასახავს დაქვემდებარებული სფეროების შინაგან ბუნებასა და მატერიალურ შეზღუდვებს. არისტოტელეს ცნობილმა ეჭვმა უმიზნო ეკონომიკური საქმიანობისადმი და მორალურმა ზიზღმა განამტკიცა აზრი, რომ სამოქალაქო საზოგადოების ფესვები არისტოკრატებშია, მეგობრულმა ურთიერთობებმა და აუჩქარებელმა კეთილგანწყობამ მიიყვანა საზოგადო სიკეთის აღმოჩენამდე და მის გამოხატვამდე. ამრიგად, არისტოტელეს სამოქალაქო საზოგადოება კეთილშობილ ქმედებებს ეფუძნებოდა.

სამოქალაქო საზოგადოების თეორიაში არისტოტელეს შემოთავაზება - განსხვავებული სათნოებები შეესაბამება განსხვავებულ ვითარებებს - მნიშვნელოვანი წვლილია. მისი განცხადებით მხოლოდ პოლიტიკას შეუძლია სრულად უზრუნველყოს შესაძლებლობები მორალური მოქმედებისათვის და „კარგი ცხოვრებისთვის“. მისი სახელმწიფოების კლასიფიკაცია მიმართულია კონსტიტუციურ წესრიგზე იმის აღიარებით, რომ სამოქალაქო საზოგადოებები შედგება განსხვავებული ოჯახებისგან, საქმიანობებისგან, წარმოშობისა და დამსახურებებისგან. ზემოთ აღნიშნულის უპირატესობა გამოიხატება იმის აღიარებაში, რომ მრავალფეროვნება ერთიანობის საფუძველია.

მსოფლიო საზოგადოების ინტეგრირების სურვილმა საფუძველი დაუდო სტოიკოსების[4] გვიანდელ იდეალს უნივერსალური, გონივრულად მართული სამოქალაქო საზოგადოების შესახებ. ციცერონი[5] სამოქალაქო სათნოების გადარჩენას

---

[3] **უნიტარული** - აქ. მარტივი

[4] **სტოიკოსი** - სტოიციზმის მიმდევარი. სტოიციზმი ძველი ელინისტური სწავლებაა, მოიაზრება ეთიკურ ფილოსოფიად

[5] **ციცერონი** - რომაელი პოლიტიკოსი, ადვიკატი, ორატორი

სამართლიანობის კონცეფციის სამართალში დამკვიდრებით ცდილობდა. იგი არ ენდობოდა კორუფციაში ჩაფლულ ხარბ არისტოკრატებს და არც ანგარებიან სახალხო მოძრაობებს. ციცერონი შეეცადა განევითარებინა სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც განაპირობებდა რესპუბლიკას, ანუ „ხალხის მმართველობას“.

ციცერონის რწმენა, რომ არისტოტელეს შერეულ კონსტიტუციას შეუძლია დაიცვას ცალკეული განსხვავებები საერთო კეთილდღეობის ორგანიზებისას, მისი მთავარი წვლილია სამოქალაქო საზოგადოების ხედვის ჩამოყალიბებაში. მისეული ცნება ითვალისწინებდა **გლეხ-ჯარისკაცებზე დაფუძნებულ სამოქალაქო საზოგადოებას,** რომელიც რესპუბლიკას შიდა ექსპლუატაციისა და გარე საფრთხეებისგან იცავდა. კერძო სამართალი აწესრიგებდა ინდივიდებს შორის ურთიერთობას, უზრუნველყოფდა ოჯახისა და ქონების სამართლებრივ განსაზღვრებას და ამკვიდრებდა ოჯახური ცხოვრების იურიდიულად აღიარებულ ფარგლებს. სამოქალაქო საზოგადოების რესპუბლიკურმა გაგებამ, როგორც საკუთრების, გონიერების, სამართლიანობისა და პირადი ცხოვრების სფერომ განაგრძო მოქალაქეობის ერთიანი, უნივერსალური და საზოგადო საზრისის ძიება. სამოქალაქო საზოგადოების კლასიკური იდეები განაგრძობდა განვითარებას კაცობრიობის ბარბაროსებისგან გადასარჩენად და პოლიტიკურად ორგანიზებული ცივილიზაციის უპირატესობის უზრუნველსაყოფად.

ჯონ ლოკს[6] სურდა სამოქალაქო საზოგადოებას ჰქონოდა უფრო ძლიერი საფუძველი, ვიდრე საერთო კეთილდღეობის გაგებაა. პრიორიტეტი, რაც მან კერძო ინტერესებს მიანიჭა, ლიბერალიზმის ილუსტრაცია იყო - დოვლათის შექმნა, დაგროვება და გამოყენება. კანონის უზენაესობა და შეზღუდული ძალაუფლების მქონე სახელმწიფო უკვე საშუალებას აძლევდა ადამიანებს საკუთარი ინტერესები ერთმანეთის მკვლელობის გარეშე დაეცვათ. თუ ლოკი მართალი იყო და საკუთრება ერთდროულად არის ბუნებრივი უფლებაც და მორალური დამოუკიდებლობისა თუ პირადი ავტონომიის პირობაც, მაშინ შესაძლებელი უნდა იყოს სამოქალაქო საზოგადოების გააზრება ისე, რომ დარჩეს ადგილი ეკონომიკური კანონებისა და პროცესებისთვის.

---

[6] **ჯონ ლოკი** - XVII საუკუნის ინგლისელი მოაზროვნე, განმანათლებელი

ადამ სმიტი[7] იყო პირველი, ვინც სამოქალაქო საზოგადოების სრულად განვითარებული ბურჟუაზიული თეორია ჩამოაყალიბა. იგი არ უგულებელყოფდა საზოგადო საკითხებს და მიუთითებდა, რომ პოლიტიკური ხელისუფლება საჭიროა თავდაცვის, კანონის უზენაესობის, საზოგადო სიკეთის უზრუნველსაყოფად. სმიტის აზრით „ერების სიმდიდრე ეფუძნება მტკიცებას, რომ სამოქალაქო საზოგადოება წარმართავს ეკონომიკურ პროცესებს.“

ადამ სმიტი იზიარებდა ლოკის განწყობას, რომ სამოქალაქო საზოგადოების რეალური საფუძველია ადამიანების აქტიურობა ბაზრებზე და არა პოლიტიკაში. მაგრამ მას აეჭვებდა ის სოციალური ფასი, რომელსაც ბაზრით გამოწვეული უთანაბრობა მოითხოვდა.

1.2. სამოქალაქო საზოგადოება - ორგანიზებული თანამეგობრობა

1990-იან წლებში სამოქალაქო საზოგადოების იდეა ინტელექტუალური და პოლიტიკური დისკუსიის ცენტრშია. ჩანს, რომ ყველანი „ძლიერ სამოქალაქო საზოგადოებას“ დემოკრატიის მთავარ საყრდენად ხედავენ, მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური მიზნების მისაღწევად. ის 21-ე საუკუნეშიც „დიად იდეას“ წარმოადგენს და ამ თვალსაზრისით ფართო პოლიტიკური და ინტელექტუალური ტენდენციების უდავო ბენეფიციარი გახდა, 1960-1970-იანი წლების დომინანტური მოტივის, სახელმწიფოს ცენტრალიზებული მმართველობის დამანგრეველი გავლენისა და ბაზარზე ადამიანის ზედმეტი დამოკიდებულების შედეგების ალტერნატივას ეძებდა.

სამოქალაქო საზოგადოება ამ პარადიგმების მიერ შექმნილი პრობლემების მოგვარებისთვის საჭირო აქამდე ნაკლულ რგოლად მოგვევლინა - ჯადოსნურ ინგრედიენტად, რომელსაც შეეძლო სახელმწიფოსა და ბაზრის „ჩავარდნების“ ათწლეულების გამოსწორება და სოციალურ კავშირებსა და კაპიტალიზმს შორის არსებული დაძაბულობის განეიტრალება.

[7] **ადამ სმიტი** - XVIII საუკუნის შოტლანდიელი ფილოსოფოსი, პოლიტიკური ეკონომისტი

XXI საუკუნის პირველ დეკადაში მასშტაბური სამოქალაქო მონაწილეობა, ხელისუფლების გადაცემა და ადგილობრივ დონეზე ჩართულობა „განვითარებადი“ მსოფლიოს (ამერიკასა და ევროპის ქვეყნებში) ნაწილში რიტორიკულად მიმდინარეობდა. ეს იდეები დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო პოლიტიკაში 2010 წელს „დიდი საზოგადოების“ სახელით გაჩნდა. ამავე წელს პეტიციებითა და სამოქალაქო ჩართულობის სხვა ფორმებით ევროკავშირმაც დაიწყო თავის პოლიტიკურ სივრცეებში მონაწილეობის წახალისება.

ეს ამბიციური მისწრაფებებია, რომელთა განხორციელებას ვერც სამოქალაქო საზოგადოება და ვერც სხვა კონცეფცია ვერ შეძლებს, თუ იგი არ დავა წინასწარგანსაზღვრულ, სამოქმედო ინსტრუმენტებამდე, რომელთა ფასეულობა და თანამიმდევრულობა შეზღუდულია და დამოკიდებულია გარე დაფინანსებასა და მხარდაჭერაზე. შედეგად მივიღეთ მთავრობის მიერ დაფინანსებული მოხალისეობრივი პროგრამების სწრაფი ზრდა, „შესაძლელობების განვითარება“ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის და სამოქალაქო საზოგადოების ჩანაცვლება უფრო ვიწრო კონცეფციებით, როგორიცაა „მესამე სექტორი“, „არასამეწარმეო სექტორი“, „სოციალური ეკონომიკა“. ის, რაც ოდესღაც იყო დიალოგი დემოკრატიისა და თვითგამოხატვის შესახებ, ახლა მკვეთრად ტექნოკრატიული და იმ ელიტების მიერ მართულია, რომელთაც სამოქალაქო საზოგადოების საკუთარ თავზე მორგება სურთ და ბიზნესისა და ბაზარზე დაფუძნებული ინვესტიციების პრაქტიკებსა და ენას ბაძავენ.

მიაყენებს თუ არა ეს ტენდენციები ზიანს სამოქალაქო საზოგადოების ტრანსფორმაციულ პოტენციალს? შეამცირებს თუ არა მოქალაქეთა ჯგუფების უნარებსა და სურვილებს უზრუნველყონ საჯარო და კერძო ძალაუფლების მქონეთა ანგარიშვალდებულება საკუთარ ქმედებებზე? შეძლებენ მიაღწიონ ფუნდამენტურ ცვლილებებს ძალაუფლების მქონე სტრუქტურებში? შეძლებენ განახორციელონ კოლექტიური ქმედება პოლიტიკაში, ეკონომიკასა და სოციალურ კავშირებში შესაღწევად? 2000-იან წლებში ვნახეთ მოქალაქეთა ორგანიზებისკენ მიმართული მზარდი ინტერესი, მონაწილეობის პოტენციალი, დემოკრატიის პირდაპირი და სათათბირო ფორმები, სადაც სამოქალაქო საზოგადოება მთავარ როლს თამაშობდა.

თუკი ეს ინოვაციები განაგრძობს ზრდასა და გაღრმავებას, შესაძლოა ზემოდან ქვემოთ მართული სამთავრობო კონტროლის საპირწონედ იქცეს.

ამ ვითარების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების შესახებ დისკუსია, რათა მეცნიერებმა შემატონ სიზუსტის, კრიტიკული დამოუკიდებლობის, გრძელვადიანი ჩართულობისა და ისტორიული სიღრმის ტრადიციული ღირსებები. ეს იმ იდეების ქმედუნარიანობის უგულებელყოფის გარეშე უნდა მოხდეს, რომლებიც მომდევნო თაობებს შთააგონებენ იბრძოლონ უკეთესი ცხოვრებისთვის.

საჯარო სფეროს მიერ შემოთავაზებული შეხედულებების და პრაქტიკული შესაძლებლობების გარეშე, სამოქალაქო საზოგადოება სხვა არაფერი იქნებოდა, თუ არა აქტივობებისა და რწმენების დანაწევრებული ნაკრები. ისეთი პრობლემატური საკითხები, როგორიცაა დაუცველობა, უთანასწორობა, სამოქალაქო და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხარისხი, ბარიერები კომუნიკაციაში, ფორმას სძენს ნებისმიერი ხალხის უნარს, გააქტიროს თავისი მოქალაქეები საჯარო პროცესებში და განახორციელოს პროექტები განსხვავებების გადალახვით, კავშირებისა და სოციალური მოძრაობების შექმნით, საჯარო პოლიტიკასა და ბაზარზე საკმარისი გავლენის მოსახდენად.

დაუცველობის, რისკისა და უთანასწორობის ზრდა სამოქალაქო საზოგადოებას უფრო მომთხოვნს ხდის და საჯარო სფეროს ელიტების ინტერესებისკენ გადახრის. საჯარო სფეროში მეტი ჩართულობისთვის არსებობს ახალი შესაძლებლობები საინფორმაციო ტექნოლოგიების, სათემო მედიის, „საჯარო ჟურნალისტიკის“ და ამ ინოვაციების გარშემო განვითარებული სამოქალაქო საზოგადოების ახალი ფორმების წყალობით. ახალი კომუნიკაციის საშუალებები მეტწილად ვირტუალურია და არა პირდაპირი, ამიტომაც ნაკლებად ეფექტური ინსტრუმენტია არსებულ პოლიტიკურ რეალობასთან, ძალაუფლებასთან და ცვლილებებთან გასამკლავებლად.

1.3. სტამბოლის პრინციპები

2010 წელს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები სტამბოლში (თურქეთის რესპუბლიკა) შეიკრიბნენ და საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების ეფექტურობის პრინციპები მიიღეს, რომელიც „სტამბოლის პრინციპების“ სახელით არის ცნობილი. ეს პრინციპებია:

1. ადამიანის უფლებების და სოციალური სამართლიანობის აღიარება და მათი დაცვის ხელშეწყობა;

საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა მაშინ არის ეფექტური, როცა ისინი ნერგავენ ისეთ ღონისძიებებსა და მეთოდებს, რომლებიც მიმართულია პიროვნების განვითარების, ღირსების, ღირსეული სამუშაოს, სოციალური თანამშრომლობისა და თანასწორობის დაცვას.

2. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა, ქალთა და გოგონათა უფლებების დაცვის ხელშეწყობა;

საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა მაშინ არის ეფექტური, თუ ისინი მხარს უჭერენ და ორიენტირებული არიან თანამშრომლობაზე, რომელიც თავის მხვრივ გულისხმობს გენდერულ თანასწორობას, ასახავს ქალთა ინტერესებს, მხარს უჭერს ქალებს, მოახდინონ თავიანთი უფლებების რეალიზაცია.

3. ფოკუსი ადამიანების შესაძლებლობების გაფართოებაზე და დემოკრატიულ პროცესებში მათი ჩართულობის გაზრდა;

საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა მაშინ არის ეფექტური, თუ ისინი მხარს უჭერენ ადამიანებს სრულფასოვნად იყვნენ ჩართული იმ პოლიტიკასა და განვითარების ინიციატივებში, რომლებიც მათ ცხოვრებაზე ახდენს გავლენას და დემოკრატიულ თანამონაწილეობას აღრმავებს.

4. *მდგრადი გარემოს ხელშეწყობა;*

საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა მაშინ არის ეფექტური, თუ ისინი ისეთ პრიორიტეტებს განსაზღვრავენ და მიდგომებს დანერგავენ, რომლებიც ხელს შეუწყობს თანამედროვე და მომავალი თაობებისთვის მდგრადი ეკოლოგიური გარემოს შექმნას.

5. *გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება;*

საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა მაშინ არის ეფექტური, თუ ისინი სხვადასხვა ოპერაციებს კეთილსინდისიერად ასრულებენ და ორგანიზაციული ერთგულების დემონსტრირებას ახდენენ.

6. *თანასწორი პარტნიორობა და სოლიდარულობა;*

საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა მაშინ არის ეფექტური, თუ მათ აქვთ გამჭვირვალე ურთიერთობები სხვა აქტორებთან. აღნიშნული უნდა ეფუძნებოდეს საერთო ღირებულებებსა და განვითარების მიზანს, ნდობას, ურთიერთპატივისცემას, სოლიდარობას, გრძელვადიან პარტნიორობას, გლობალურ მოქალაქეობას და ორგანიზაციულ ავტონომიას.

7. *ცოდნის აკუმულირება და გაზიარება, ორიენტაცია ერთმანეთისგან სწავლაზე;*

საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა მაშინ არის ეფექტური, თუ ისინი სხვა აქტორებისგან მიღებული გამოცდილების საფუძველზე აუმჯობესებენ თავიანთი სწავლის მეთოდებს, თავს უყრიან ინფორმაციას განხორციელებული საქმიანობებისა და მათი შედეგებისგან, ასევე ადგილობრივების ცოდნისა და გამოცდილებისგან.

ამრიგად, იდეა სამოქალაქო საზოგადოებებისა თუ გაერთიანებების შექმნისა, ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქიდან იყო საინტერესო და ძველი რომელი და ბერძენი ფილოსოფოსების გასჯის საგანი. მთავარი არსი აქ იმაში მდგომარეობს, რომ, საზოგადოებრივი გაერთიანებების მუშაობა მაშინ არის ეფექტური, თუ ისინი თანამშრომლობენ სახელმწიფოსთან და მნიშვნელოვანი ცვლილებების მისაღწევად, ახლანდელ და მომავალ თაობებს უტოვებენ მყარ მემკვიდრეობას.

თავი II

საზოგადოება და სახელმწიფო

- ✓ **რა არის სახელმწიფო?**

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გაერთიანებაა სახელმწიფო. ის გეოგრაფიული მდებარეობითა და ტერიტორიული დაყოფის მიხედვით აერთიანებს სხვადასხვა საზოგადოებას. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სახელმწიფო კაცობრიობის კეთილდღეობის მისაღწევად უმთავრესი და აუცილებელი საშუალებაა.

დემოკრატიის განვითარებასთან ერთად იზრდება სახელმწიფოს საზოგადოებასთან გაიგივების ხარისხიც. დღითიდღე პოპულარული ხდება ტერმინი: „ხელისუფლება ჩვენ ვართ“. თუმცა საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ „ჩვენ“ ხელისუფლება არ ვართ და არც ხელისუფლებაა „ჩვენ“.

- ✓ მაშინ რა არის სახელმწიფო? - ჩნდება კითხვა.

სახელმწიფო საზოგადოებაში არსებული ის ორგანიზაციაა, რომელიც მოცემული ტერიტორიის ფარგლებში იძულებისა და ძალმომრეობის გამოყენების მონოპოლიის შენარჩუნებას ცდილობს. იგი საზოგადოებაში არსებულ ორგანიზაციებს შორის ერთადერთია, რომელიც საარსებოდ ფინანსებს ძალდატანებითა და შესაბამისი იურიდიული დოკუმენტების წყალობით ღებულობს. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ საბიუჯეტო გადასახადები, მოსაკრებლები, ჯარიმები. ოპენჰაიმერის განმარტებით სახელმწიფო „პოლიტიკურ საშუალებათა ორგანიზაციაა“, რომელიც დაპყრობის ან ექსპლუატაციის შედეგად ჩნდებოდა და დროთა განმავლობაში ძალმომრეობას კანონის ფარგლებში აქცევდა.

თავის თავის შესანარჩუნებლად სახელმწიფოს თანამოაზრეები სჭირდება. შესაბამისად სახელმწიფოს მთავარ მიზანს მოსახლეობის უმრავლესობის კეთილგანწყობა წარმოადგენს, რისი მიღწევის უმთავრესი შესაძლებლობა ეკონომიკაზე და იდეოლოგიურ პროპაგანდაზე გადის. სახელმწიფოების ჩამოყალიბების ეტაპზე ერთ-ერთი იდეოლოგიური იარაღი ტრადიცია იყო, საფრთხე კი დამოუკიდებელი ინტელექტუალური კრიტიკა. ნებისმიერი წესი უმრავლესობის აღიარებას საჭიროებს და იდეოლოგიური საფრთხე, რომელიც შეიძლება ამ წესს

დაემუქროს, აუცილებლად დამოუკიდებლად მოაზროვნე პიროვნებებისგან აღმოცენდება. კრიტიკული იდეა ყოველთვის უმცირესობიდან მოდის. სახელმწიფო კი კრიტიკული იდეის ჩანასახშივე გაქილიკებას და ჩახშობას ცდილობს, ხოლო საკუთარი მმართველობის გარდაუვალ აუცილებლობად წარმოჩენას.

სახელმწიფოს მხრიდან ხალხის დამოჩილების გამოცდილი ხერხი თითოეულ მათგანში დანაშაულის გრძნობის გამოწვევაა. მატერიალიზმს ეგოისტური სიძუნწე დაუპირისპირეს. მასში სახელმწიფო მმართველობის ჩარევა მორალურად ამაღლებულ საქციელად შეფასდა და კეთილშობილური მიზნისკენ სწრაფვას გაუტოლდა.

როგორც ვხედავთ სახელმწიფოსთვის იდეოლოგიურ მხარდაჭერას სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია. იგი მუდმივად უნდა ეცადოს საზოგადოების თავის „ლეგიტიმურობაში“ დარწმუნებას. „საღ აზრზე“ თავდასხმები შემთხვევითი როდია, სწორედ ამაზე მიგვანიშნებდა ბატონი მენკენი: „საშუალო ადამიანი, მიუხედავად თავისი მრავალი შეცდომისა, სულ მცირე, თვალნათლივ, იმას მაინც ხედავს, რომ ხელისუფლება არის რაღაც, რაც მისგან და მისი მსგავსი ადამიანებისგან განცალკევებით არსებობს; ამასთან, ეს არის განცალკევებული, დამოუკიდებელი და მტრული ძალა, რომელიც მის კონტროლს მხოლოდ ნაწილობრივ ექვემდებარება და მისთვის დიდი უბედურების მოტანა შეუძლია. არის თუ არა მისი უმნიშვნელობის დასაბუთება, რომ ყველგან, სახელმწიფოს გაძარცვა უფრო ნაკლები მნიშვნელობის დანაშაულად მიიჩნევა, ვიდრე ცალკეული ადამიანის ან თუნდაც კორპორაციის გაქურდვა? ის, რაც ყოველივე ამის უკან ძევს, ჩემი აზრით, ხელისუფლებასა და მის მიერ მართულ ადამიანთა შორის ღრმა ანტაგონიზმის შეგრძნებაა. მას აღიქვამენ არა როგორც სამოქალაქო კომიტეტს, რომელსაც ირჩევენ, რომ მთელი მოსახლეობის კომუნალური მომსახურება უზრუნველყოს, არამედ როგორც განცალკევებულ და დამოუკიდებელ კორპორაციას, რომელიც ძირითადად თავისი წევრების სასარგებლოდ დანარჩენი მოსახლეობის ექსპლუატაციისთვის არის განკუთვნილი... როდესაც კერძო მოქალაქე იძარცვება, ღირსეული ადამიანი თავისივე შრომისა და რუდუნების ნაყოფს კარგავს. როცა სახელმწიფო იძარცვება, ყველაზე უარესი, რაც ამ დროს ხდება ის არის, რომ ზოგიერთ თაღლითსა და უსაქმურს გართობისათვის უფრო ცოტა ფული რჩება, ვიდრე მანამდე ჰქონდა. თვალსაზრისი, რომ ეს ფული

გამომუშავებული ჰქონდათ, არასოდეს ყოფილა გაზიარებული. გონიერი ადამიანების უმრავლესობისათვის ეს სასაცილოცაა“.

- ✓ **რა არის საზოგადოება**

არენდტი[8] სამოქალაქო საზოგადოებას განსაზღვრავს, როგორც ინდივიდუალური თავისუფლებისა და გამოხატვის ხარჯზე ჰიპერუნივერსალობისადმი მთავრობის უკონტროლო მიდრეკილების საწინააღმდეგო ძალას. გრამში[9] სამოქალაქო საზოგადოების ტერმინს შეუსაბამებდა ბრძოლის სივრცეს უთანასწორობებისა და უსამართლობის წინააღმდეგ, ხოლო ელი[10] ამტკიცებს, რომ სამოქალაქო საზოგადოება არის „სტრუქტურული კონტექსტი“, სადაც სხვადასხვა ხალხს შორის კულტურული და იდეოლოგიური შეჯიბრი ან მოლაპარაკებაა.

ტოკვილის[11] განმარტებით სამოქალაქო საზოგადოება თავისუფალ ინდივიდებს შორის მოხალისეობრივი გაერთიანებების სფეროა. სხვა სფეროებისგან განსხვავებით ასოციაციური ცხოვრება ნდობისა და თანაზიარობის მთავარ საშუალებად მიიჩნევა, რაზეც დემოკრატიული ურთიერთობებია დამოკიდებული. ამ თვალსაზრისით, ცოცხალ ორგანიზაციულ ცხოვრებას შეუძლია ააშენოს ძლიერი და შეკრული საზოგადოებები.

სამოქალაქო საზოგადოება ცდილობს წვლილი შეიტანოს კარგი საზოგადოების შექმნაში. სწორედ „კარგ საზოგადოებასთან“ ასოცირდება მისი დეფინიცია, რომელიც გამოირჩევა თავისუფლებით, დემოკრატიით, პატივისცემით, თანამშრომლობით და სხვა ღირებულებებით.

სამოქალაქო საზოგადოება მოსაზრებების და მოძრაობების ზღვაა, რომელშიც ერთმანეთისგან განსხვავებული ჯგუფები საკუთარი თავის ასაღწერად ისეთ ფრაზებს იყენებენ, როგორიცაა „ეროვნული ინტერესი“, „საჯარო სიკეთე“, „საყოველთაო კეთილდღეობა“ ან „კაცობრიობის მომავალი“. სამოქალაქო საზოგადოების

---

8 ჰანა არენდტი - ებრაული წარმოშობის გერმანელ-ამერიკელი ფილოსოფოსი, პოლიტიკური თეორიტიკოსი და ისტორიკოსი, ტოტალიტარიზმის თეორიის შემქნელი

9 ანტონიო გრამში - იტალიელი ფილოსოფოსი, ჟურნალისტი, პოლიტიკური მოღვაწე

10 ელი - ებრაული წარმოშობის ამერიკელი და ფრანგი მწერალი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, პროფესორი. 1986 წლის ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი

11 ალექსის დე ტოკვილი - ფრანგი დიპლომატი, პოლიტოლოგი და ისტორიკოსი

მრავალფეროვნება გვარწმუნებს, რომ წაგებულები, ანუ ისინი, ვისაც ახალი პოლიტიკის „გადაწყვეტილება“ პრობლემას უქმნის, თავიდან იწყებენ ბრძოლას.

სამოქალაქო საზოგადოების შიგნით არსებული უთანხმოებები ღრმა და გულწრფელია. ისინი დაპირისპირებულ ღირებულებებს და ემოციებს ეფუძნება.

ინტერესთა ჯგუფები და სამოქალაქო ასოციაციები მუდმივად კამათობენ რიგ საკითხებზე პოლიტიკური ბრძოლებისას. ბევრი საზოგადოების შიგნით ბევრი სხვაობები არსებობს. სხვაობები უფრო მეტია ქვეყნებს შორის და „გლობალურ სამოქალაქო საზოგადოებაში“ ჩანს როგორი განსხვავებული გზებით განსაზღვრავს ამერიკის შეერთებული შტატები და ბევრი ევროპული დემოკრატია გაერთიანების და გამოხატვის თავისუფლებას.

ზემოთ აღნიშნულის პარალელურად, მნიშვნელოვანია, განვიხილოთ საზოგადოებრივი გაერთიანებები კანონმდებლობის ჭრილში, რომელსაც ცალკეული ქვეყნები თავიანთი სამართლებრივი ნორმების მიხედვით აყალიბებენ. საქართველოს კანონი „მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების შესახებ“ საზოგადოებრივ გაერთიანებას ასე განმარტავს: „მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანება არის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა ნებაყოფლობითი ფორმირება, რომელიც იქმნება მისი წევრების ინტერესების, მიზნებისა და საქმიანობის საერთო პრინციპების საფუძველზე. მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებებია პროფესიული კავშირები, ქალთა, ინვალიდთა და ვეტერანთა ორგანიზაციები, ახალგაზრდათა და ბავშვთა ორგანიზაციები, შემოქმედებითი კავშირები, ფონდები, საზოგადოებრივი მოძრაობები, ასოციაციები; სამეცნიერო-ტექნიკური, კულტურულსაგანმანათლებლო, სპორტული, რელიგიური და საქველმოქმედო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აგრეთვე, მოქალაქეთა სხვა გაერთიანებები.” აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ კანონის მოქმედება იმ ორგანიზაციებზე, რომლებიც მხოლოდ კომერციულ მიზნებს ისახავენ, არ ვრცელდება.

რაც შეეხება ტერმინს საზოგადოებრივი გაერთიანება, ბევრი აკრონიმი აქვს და ქართულ რეალობაში შესაძლოა სხვადასხვა ფორმით შეგვხვდეს: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია, არასამთავრობო ორგანიზაცია, მესამე სექტორი (ინგლ. Non-governmental organization, შემოკლებით - ინგლ. NGO [ენჯეო]).

საზოგადოებრივი გაერთიანებების მთავარი მახასიათებელი სამთავრობო ხელისუფლებისგან დამოუკიდებლობაა. განვითარებად ქვეყნებში ხშირად გვხვდება ორგანიზაციები, რომლებიც შექმნილი და დაფინანსებულია სახელმწიფოს მიერ, სამოქალაქო საზოგადოების ილუზიის შექმნის მიზნით და რა თქმა უნდა, საკუთარი პოლიტიკური ამოცანების მისაღწევად, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე. ასეთ ორგანიზაციებს გონგოებს უწოდებენ.

- ✓ **სახელმწიფო და საზოგადოება მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული მოვლენაა**

„სახელმწიფო ძალაუფლებასა“ და „საზოგადოებრივ ძალაუფლებას“ (ალბერტ ჯეი ნოკმა[12] ასე უწოდა) შორის ორი ურთიერთგამომრიცხავი წესი იკვეთება: *მშვიდობიანი თანამშრომლობა და იძულებითი ექსპლუატაცია*. ბოლო პერიოდში დამკვიდრდა ტერმინი „სექტორთაშორისი თანამშრომლობა“. აღნიშნული სწორედ სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ გაერთიანებებს შორის თანამშრომლობას გულისხმობს. ხშირ შემთხვევაში ამ ორ მნიშვნელოვან სექტორს კიდევ ერთი - ბიზნეს სექტორი ემატება. ამ სამი სექტორის თანამშრომლობას მნიშვნელოვანი და გლობალური პრობლემების გადასაჭრელად ყველაზე ეფექტურ მექანიზმად ასახელებენ. მსგავსი ტიპის თანამშრომლობის დროს ხდება ისეთი რესურსების გაერთიანება, როგორიცაა ცოდნა, ინტერესი, დრო, ფინანსები, რაც შესაძლოა ერთი სექტორის ძალებს აღემატებოდეს.

აღიარებულია, რომ განვითარებაზე ორიენტირებული, საზოგადოებისთვის სასარგებლო და სოციალური ინიციატივების განხორციელება ეფექტურია სექტორთაშორისი თანამშრომლობის დროს. ასეთ შემთხვევებში ძირითადად სამივე სექტორია ჩართული და ბიზნესი ერთვება არა მოგებისთვის, არამედ კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის გამო. ყველაზე ხშირად აღნიშნული ტიპის თანამშრომლობით პროექტები ხორციელდება ჯანდაცვის მიმართულებით. საჯარო - კერძო თანამშრომლობის - Public – Civic Partnership - იდეა მოქალაქეთა მონაწილეობას ეფუძნება.

საქართველოში სექტორთაშორისი თანამშრომლობა, შეიძლება ითქვას, არ არის განვითარებული, თუმცა ქვეყანაში საამისო მზაობა არის და იდეის განხორციელებაც დაწყებულია. ამის ნათელი მაგალითია საზოგადოებრივი გაერთიანების „ფონდი ღია

[12] **ალბერტ ჯეი ნოკი** - ამერიკელი ანარქისტი, თეორეტიკოსი

საზოგადოება - საქართველოს“ ბავშვთა ჰოსპისის[13] მშენებლობა, რომლისთვისაც იდეის ავტორმა 1,5 მილიონი ლარის მობილიზება შეძლო მოქალაქეებისა და ბიზნესისგან შემოწირულობის სახით. ცნობილია ისიც, რომ ჰოსპისის მშენებლობაში მონაწილე კომპანიები უარს ამბობდნენ გაცემული პროდუქტისა და გაწეული შრომის ანაზღაურების მიღებაზე. ბავშვთა ჰოსპისი კი დღემდე ფონდის მიერ გაცემული დაფინანსების პარალელურად, შემოწირულობებით სარგებლობს.

საქართველოში დღემდე ითვლება, რომ დასავლური ცივილიზაცია თავის ღირებულებებს გვახვევს და საკუთარს გვართმევს. ამ იდეის საპირწონედ მნიშვნელოვანია გაგვაჩნდეს გააზრებული პოლიტიკა დემოკრატიული პრინციპების შემოტანისა და დამკვიდრების შესახებ. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ვიქნებით დაინტერესებული მხარე, რომელსაც სურს მიაღწიოს კონკრეტულ მიზანს. *ეს იქნება ეროვნული იდეა ანუ ერთიანი სისტემა, რომელიც თავს მოუყრის ღირებულებებს, პრინციპებს და ინტერესებს, რაც დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების საფუძველს წარმოადგენს და რასაც რეფორმატორული შეხედულებების მქონე ადამიანები ქმნიან.*

„სამოქალაქო საზოგადოების არქონის დროს ყოველთვის არის ომი ყველას წინააღმდეგ“, - მიიჩნევდა თომას ჰობსი. ამიტომაც იყო, რომ კომუნიზმის რეჟიმი და ყველას თანასწორობის იდეა, რომელიც დიქტატურაზე იყო დაფუძნებული, დაეცა. ამას მოყვა კონკრეტული პიროვნებების ირგვლივ ხალხის შემოკრება და ე.წ. პოლიტიკური გაერთიანებების - პარტიების ჩამოყალიბება, რომელთა იდეოლოგია ხშირ შემთხვევაში გაურკვეველია და ძირითადად ხელისუფლების სათავეში მოსვლის სურვილში გამოიხატება.

მეოცე საუკუნის ბოლო წლებში საქართველოში ჩნდება საზოგადოებრივი გაერთიანებები, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სახელით მკვიდრდება.

---

[13] **ბავშვთა ჰოსპისი** - "ციცინათელების ქვეყანა" ოჯახური გარემოს შექმნით, ზრუნავს მძიმე ქრონიკული, უკურნებელი და/ან სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი დაავადების მქონდე, 0-18 წლამდე ბავშვების მდგომარეობის და ტანჯვის შემსუბუქებაზე, კეთილდღეობაზე და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

2.1. პირველი გაერთიანების მცდელობები ადრეულ სახელმწიფოებში

მსოფლიომ თავისი განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორია განვლო, რომლის მანძილზე საზოგადოებსა და სახელმწიფოს შორის ყოველთვის მიდიოდა აქტიური ურთიერთობები, რომლებიც რიგ შენმთხვევაში დაპირისპირებით, კრიტიკითა და როგ შემთხვევებში თანმდევი ურთიერთობებით ხასიათდებოდა. ამ ქვეთავში განვიხილავთ ადრეული პერიოდის საზოგადოებრივ გაერთიანებებს და მათ სპეციფიკას, ასევე მიმოვიხილავთ რამდენად ეფექტური იყო ეს გაერთიანებები, რა როლი შეასრულეს მათ სახელმწიფოს განვითარებაში და რომელმა გაუძლო გამოწვევებს და დღემდე არსებობს სახეცვლილი ფორმით.

ა. გილდიები

პროფესიული ინტერესებისა და წოდებრივი პეივილეგიების დაცვის მიზნით ადრინდელი შუასაუკუნეების დასავლეთ ევროპის ქალაქებში ჩნდება საზოგადოებრივი გაერთიანების ფორმალიზებული სახე - გილდიები. ფართო გაგებით ეს იყო რელიგიური, პოლიტიკური, უფლებების დაცვითი და ა.შ. ტიპის გაერთიანებები, ვიწრო გაგებით კი იმდროინდელ ვაჭართა კავშირი.

გილდიები XII – XIII საუკუნეებში მძლავრ ძალას წარმოადგენდა, რომელიც თამამად უპირისპირდებოდა ფეოდალებს. ფეოდალური წყობილების დაშლა და კაპიტალიზმის განვითარება სწორედ გილდიების - ვაჭართა კავშირის დამსახურებაა. მათი როლი XVI საუკუნიდან დაეცა, თუმცა ვაჭრებმა მოახერხეს შეენარჩუნებინათ სოციალური პრივილეგიები.

საქართველოში პირველი გილდია XIII საუკუნეში ჩამოყალიბდა, სახელწოდებით „ორთაღი“. მისი წევრები აქტიურად იყვნენ ჩართული საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში. „ორთაღი“ სესხად გაცემდა ფულს და გირაოსაც იტოვებდა, რაც იმის დასტურია, რომ იმდროინდელ საქართველოში იპოთეკური და კომერციული კრედიტი მევახშური ფორმით არსებობდა. 1875 წლიდან გილდიების რიცხვი იზრდება და 1880 წლისთვის 1000-ს აღემატება.

გ. ამქარი

XII – XIII საუკუნეებში გილდიების პარალელურად ჩნდება ხელოსანთა, ან მონათესავე ხელობის ოსტატთა გაერთიანებები **„ამქარი**ს“ სახით. მას ქონდა წესდება, სადაც გაწერილი იყო წევრთა ფუნქციები, მოვალეობები, წარმოების პირობები, საშუალებები... მას ყავდა ხელმძღვანელი - უხუცესი „უსტაბაში“ - ხელობის უფროსი. საქართველოში პირველ ხელოსანთა გაერთიანებას **„თაბუნი“** ეწოდებოდა. სიტყვა „ამქარი“ საქართველოში XIX საუკუნეში გავრცელდა. იქმნებოდა მეწვრილმანეების, ვაჭრების, მესანთლეების, ყასბების, ხუროების, მეპურეების, ზეინკლების, მჭედლების, ხარაზების და სხვ. ამქრები. ვაჭართა და ხელოსანთა გაერთიანებები თითქმის აღარ განირჩეოდა ერთმანეთისგან. ამქარში გაერთიანება შეეძლო ნებისმიერ ვაჭარს და ხელოსანს, მიუხედავად მისი რელიგიური აღმსარებლობისა, ეთნიკურობისა. ამქრისთვის მნიშვნელობა არც იმას ქონდა, თუ რომელ ქალაქში ცხოვრობდა წევრობის მსურველი. ამქრული ორგანიზაციების ზრდა თბილისში ხელოსანთა რიცხვის ზრდას და ხელოსნური წარმოების სპეციალიზაცია იწვევდა. თანამედროვე საქართველოში ამქარის მსგავს გაერთიანებებად შესაძლოა პროფესიული კავშირები განვიხილოთ, რომელიც დღეისათვის მრავლად არის, თუმცა ამქრებისგან განსხვავებით მათი საქმიანობა ნაკლებად პოპულარულია და შედეგს ვერ იძლევა.

დ. ჰანზა

ჰანზა, იგივე ჰანზის კავშირი (**გერმ.** Hanse, ძველ ქვ. გერმ. Hansa, სიტყვასიტყვით „ჯგუფი“, „კავშირი“, „ამხანაგობა“) ვაჭართა გილდიების სამხედრო - სავაჭრო კავშირს წარმოადგენდა. იგი 30-მდე ქალაქს მოიცავდა და ჩრდილოეთ ევროპაში სავაჭრო მონოპოლიას აწესებდა და მართავდა კიდეც.

ჰანზის კავშირს სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებებიდან ისიც განასხვავებდა, რომ ქონდა კანონები და სამხედრო ძალა, რომელსაც ქალაქები საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთის დასახმარებლად იყენებდნენ. სამხედრო ძალა წევრი ქალაქების ცალკეულ ფლოტებსა და ჯარებს მოიცავდა. ჰანზა ხელს უწყობდა საფეიქრო მრეწველობის განვითარებას, რომელიც თავის მხვრივ ზღუდავდა ადგილობრივი ეროვნული ვაჭრობის საქმიანობას.

ვაჭართა კონკურენცია და მეტოქეობა ჰანზის კავშირის დაცემის წინაპირობა გახდა. XV საუკუნეში მისი პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერება შეირყა. ჰანზის წევრ ქალაქებს შორის დაიწყო კონფლიქტი. XVI საუკუნიდან მსოფლიო სავაჭრო სტრუქტურაში ცვლილებები მიმდინარეობს, ჰანზის კავშირი კი თავის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მნიშვნელობას საბოლოოდ კარგავს. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ჰანზის ბოლო ყრილობაზე, რომელიც 1669 წელს გაიმართა, მხოლოდ ექვსი ქალაქი მონაწილეობდა.

პირველი საზოგადოებრივი გაერთიანებები არ იყო სრულყოფილი თავისი შინაარსით, საქმიანობით, შედეგზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელებით. ფრანგი ისტორიკოსის და პოლიტიკური მოღვაწის ფრანსუა გიზოს კონცეფციის მიხედვით, "ნებისმიერი სისტემა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს აწმყოში წესრიგს და მომავლისაკენ მოძრაობას, მანკიერია და უნდა დაიღუპოს". ერთ-ერთი პირველი საზოგადოებრივი გაერთიანებების - ჰანზების დაარსება-დაშლა შესაძლებელია ამ კონცეფციის მიხედვით განვიხილოთ. რაკი ჰანზების არსებობა ხელს უშლიდა ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას და ორიენტირებული იყო საერთაშორისო ბაზარზე, მისი მუშაობის სისტემა აღმოჩნდა „მანკიერი“, ვერ გაამართლა თავისი მიზანი და შესაბამისად დაიშალა - „დაიღუპა“. გამომდინარე აქედან, შესაძლოა დავასკვნათ, რომ გაერთიანება, რომელიც თავის თავში ვერ უზრუნველყოფს წესრიგს, ვერ ამართლებს გაერთიანების იდეას, ვერ ისწრაფვის მიზნისკენ, მისი არსებობა შეუძლებელია, რადგან მანკიერია და თუ არ დაიღუპება, არც სასარგებლოს შექმნის მომავალში.

თავი III

სამოქალაქო საზოგადოების ფორმები

სამოქალაქო საზოგადოებრივი გაერთიანებები სხვადასხვა ფორმით გვხვდება თანამედროვე სახელმწიფოებში. ისინი შეიძლება დაიყოს, როგორც არაკომერციული სექტორი, განვითარების სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, გრასრუტ ასოციაციები, სოციალური მოძრაობები, სოციალური საწამოები, გლობალური სამოქალაქო საზოგადოებები, მოხალისეობრივი გაერთიანებები... სამოქალაქო საზაგადოებრივი გაერთიანებების როლისა და მნიშვნელობის უკეთ აღსაქმელად განვიხილოთ თითოეული მათგანი.

3.1. არაკომერციული სექტორი

სამოქალაქო საზოგადოება ბაზრისგან დამოუკიდებლად არსებობს და იგი მოხალისეობრივი გაერთიანებებისა და აქტივობის სივრცეა. იგი მოხალისეობრივი ჯგუფების მდიდარი მრავალფეროვნებით ხასიათდება, რომლებიც სამოქალაქო ჩართულობისა და მონაწილეობისთვის ერთობლივ შესაძლებლობებს გვთავაზობენ. არაკომერციულ ორგანიზაციებს სხვა სამოქალაქო ორგანიზაციებისგან იურიდიული რეგისტრაციის ფორმალობის მაღალი დონე, გარე დაფინანსების უპირატესობა, ადგილობრივ ორგანიზაციებისა და თემის, მთავრობასა და დანარჩენ ორგანიზაციებს შორის მედიატორის როლი გამოარჩევს.

მოხალისეობრივ ორგანიზაციებს შეუძლიათ დაამყარონ თანამშრომლობითი სოციალური კავშირები ან სოციალური კაპიტალი, რომელიც ხელს უწყობს სახელისუფლებო სტრუქტურების ეფექტურ მუშაობას, ეკონომიკის სწრაფ განვითარებას და უკეთეს მოქალაქეობას.

არაკომერციული სექტორის როლს გლობალური სოციალური და დემოგრაფიული ტენდენციები განსაზღვრავს. მოწყვლადი ჯგუფების (როგორიცაა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, უმუშევრები, მოხუცები,

მიგრანტები...) მხარდაჭერამ, გაზარდა ინტერესი თემის ცხოვრების გაუმჯობესებისა და დასაქმების პროგრამებისადმი, სადაც ძირითად როლს არასამეწარმეო ორგანიზაციები თამაშობენ.

ბოლო წლებში, მზარდი კონკურენციის და ანგარიშვალდებულების გარემოში, არაკომერციული სექტორის შესაძლებლობის, ინფრასტრუქტურის და მდგრადობის საკითხები ყურადღების ცენტრში მოექცა, განსაკუთრებით, დამფინანსებელთა შორის. მათი უმრავლესობა განვითარების იმ საფეხურზეა, როცა მდგრადი ფინანსური გეგმის შემუშავებაა საჭირო. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია უნარების განვითარება ორივე სექტორისთვის - სახელმწიფო და არაკომერციული სექტორებისთვის, რათა მათ გააჩნდეთ საჭირო უნარ-ჩვევები პოლიტიკური და ფინანსური გარემოს უკეთესობისკენ ცვლილებებისთვის, წარმატებული მოლაპარაკებებისთვის, დღის წესრიგში არსებული პრობლემური საკითხების გადაჭრისთვის, ღიაობისა და გამჭვირვალობისთვის, თანამშრომლობისთვის და ა.შ.

არაკომერციულ ორგანიზაციებს აფასებენ შესაძლებლობისთვის, წარმოადგინონ საკუთარი თემი და მისცენ შესაბამისი უკუკავშირი საჯარო პოლიტიკის განმსაზღვრელ პირებს მნიშვნელოვანი საკითხების ირგვლივ. ბევრ მათგანს რიგი შინაგანი და გარე წინააღმდეგობები ხვდება ადვოკატირების პროცესში. მდგრადი ადვოკატირების დროს არაკომერციულ ორგანიზაციებს, უმეტეს შემთხვევაში ქვეყნებში მოქმედი საკანონმდებლო შეზღუდვების გამო, ბევრი იურიდიული და პოლიტიკური წინაღობა ხვდებათ. სერვისის მიმწოდებლები შესაძლოა იმაზე წუხდნენ, რომ ადვოკატირების პროცესმა შესაძლოა მთავრობასთან ურთიერთობაში ხელი შეუშალოს, რაც სავარაუდოდ შემდგომში დაფინანსებაზე და მარეგულირებელ კანონმდებლობაზე სერვისის მიმწოდებლისთვის უარყოფითად აისახოს. პატარა სათემო ორგანიზაციებს ადვოკატირებისთვის ხშირად აკლიათ რესურსები და საჭირო ექსპერტიზა.

ზოგადად, მედიატორის როლი თუ ფუნქცია, მთავრობასთან კომპლექსურ ურთიერთობას წარმოქმნის, სადაც არაკომერციული სექტორი დამოკიდებული ხდება სახელმწიფო დაფინანსებაზე და აქვს შიში, რომ ადვოკატირების კამპანია

სამომავლოდ ამ მხარდაჭერაზე უარყოფით გავლენას მოახდენს, რაც შესაძლოა შემდგომში ფინანსური კრიზისის საფუძველი გახდეს. მზარდი კონკურენტული გარემო ამ შიშს უფრო მეტად ამძაფრებს და არაკომერციულ სექტორს ადვოკატირების პროცესში სიფრთხილისკენ უბიძგებს. ამ გამოწვევის საპასუხოდ, შესაძლოა არაკომერციული სექტორი დაფიქრდეს მმართველობასა და დაფინანსების მოდელებზე, რათა გაზარდოს მდგრადობა, შეამციროს დამოკიდებულების ხარისხი სახელმწიფოზე, გახადოს მთავრობები ანგარიშვალდებულნი, რათა პირნათლად შეასრულონ თავიანთი მოვალეობა და დააფინანსონ ძირითადი სახელმწიფო სერვისები. ამ გამოწვევასთან გასამკლავებლად და დაფინანსებასა და კანონმდებლობაზე გავლენის მოსახდენად, არაკომერციული სექტორი პროგრამების დაგეგმვისას უფრო შემოქმედებითი და ინოვაციური უნდა იყოს.

სოციალური და დემოგრაფიული ტენდენციების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არაკომერციული სექტორის როლი იზრდება და იგი მომავალში უფრო მნიშვნელოვანი გახდება. არაკომერციულ სექტორს დასჭირდება ფრთხილი ბალანსი დაიჭიროს დამოკიდებულებასა და დამოუკიდებლობას შორის და ეძიოს გზები თუ როგორ შეუთავსოს ერთმანეთს სერვისის მიწოდება, ადვოკატირება და თემის ორგანიზება.

3.2. განვითარების სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები

1940-იანი წლებიდან განვითარების სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები (NGDO) დიდ დროს უთმობდნენ გრძელვადიანი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პროგრესის ხელშეწყობას და სწრაფი ტემპით ზრდას მთელ მსოფლიოში. ასეთი ორგანიზაციები, მაგალითად ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში დაარსებული Oxsfam-ი და World Vision-ი საერთაშორისო დონეზე მუშაობდა და მათ შორის საქართველოშიც მნიშვნელოვანი პროექტები განახორციელეს. მოგვიანებით ამ ტიპის ადგილობრივი ორგანიზაციებიც გაჩნდა. NGDO-ების უმეტესობა განვითარებად ქვეყნებში მუშაობს. ბოლო 20 წლის განმავლობაში მათი რიცხვი გაიზარდა და მათი პროფილიც გაფართოვდა.

განვითარების სფეროში მომუშავე ორგანიზაციებს უწევდათ სამოქალაქო საზოგადოების ახალი დისკურსის შეთავსება. მათი ფუნქციაა, იტვირთონ შუამავლის როლი რესურსების მიმწოდებლებსა და იმ მოსახლეობას შორის, რომელთა ცუდად ყოფნაც ამ ორგანიზაციების არსებობას ამართლებს.

NGDO-ები მთელი რიგი თვისებებით ხასიათდებიან, რაც საშუალებას გვაძლევს ფართოდ შევხედოთ მათ ბუნებას და ევოლუციას:

ა) NGDO-ების ლეგიტიმურობა და მმართველობა განცალკევებულია სამთავრობო უწყებებისგან;

ბ) NGDO-ები ეყრდნობიან და იყენებენ საერთაშორისო დახმარების პრინციპებს, როგორც საკუთარი არსებობის მნიშვნელოვან წყაროს;

გ) იღებენ პირდაპირ ან გადასახადზე დაფუძნებულ საჯარო მხარდაჭერას, ნაწილობრივ იმიტომ, რომ მათი „მფლობელების“ სიმდიდრის მოპოვებისთვის არ არიან შექმნილნი;

დ) ოპერირებენ სოციალ-პოლიტიკური სივრცის ნებისმიერ, ან ყველა საფეხურზე - დაწყებული ინდივიდუალური, ოჯახის, შინამეურნეობის, ადგილობრივი დონიდან და დასრულებული ერთაშორისი და გლობალური საკითხებით, ყოფნითა და ურთიერთობებით;

ე) თავიანთი წამოწყებების ფარგლებში პოლიტიკურ პროცესებში არაპარტიულები არიან.

1980-იანი წლები, შეიძლება ითქვას, „ოქროს ხანას“ წარმოქდგენდა NGDO-ებისთვის. ამ პერიოდში დონორების მიერ მხარდამჭერმა პოლიტიკამ NGDO-ების ენა შემოიტანა, ისეთი კონცეფციების ინტერპრეტაციით, როგორიცაა „გაძლიერება“, „ტრანსფორმირება“, „განაწილება“ და „პარტნიორობა“, რამაც ისინი სახელმწიფოზე ორიენტირებული გახადა. ამ რიტორიკული კონცეფციების ხორცშესასხმელად, ზოგიერთმა დონორმა შიდა რეფორმებიც კი გაატარა. საბოლოოდ, გარკვეულ ფუნქციონალურ საჭიროებებთან ერთად, განვითარების ეფექტურობის ასამაღლებლად შექმნილი NGDO-ები, დროდადრო დონორ ქვეყნებს

არაფორმალურად წარმოადგენდნენ იმ სახელმწიფოში, რომლებსაც ცივი ომის პერიოდში ანტიდასავლური რეჟიმები მართავდნენ.

1980-იანი წლების ბოლოს NGDO-ები საერთაშორისო განვითარების პლატფორმაზე აღიარეს და ზოგ მათგანს გლობალური ამბიციებიც გაუჩნდა.

3.3. გრასრუტ ასოციაციები[14]

მოხალისეობრივი გაერთიანებები საჯარო სიკეთის პროგრესზე ორმხვრივად ზრუნავს. იგი პირდაპირ პასუხობს ისეთ საკითხებს, როგორიცაა სიღარიბე, უთანასწორობა და გარემოს გაუმჯობესება, ხოლო ირიბად - ხელს უწყობს ადამიანთა დემოკრატიულ ცხოვრებაში ჩართვას. სწორედ ასეთი გაერთიანებები ქმნის სივრცეებს, სადაც მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ პირდაპირ ჩაერთონ სამოქალაქო ცხოვრებაში და ის პრობლემები მოაგვარონ, რომელთა გადაჭრა მთავრობას, ან სამოქალაქო სექტორს არ შეუძლია. ამ ტიპის ორგანიზაციებს ორგანიზაციებს „სოციალური ცვლილების ორგანიზაციებს (SCOs)" უწოდებენ.

SCO-ები მოიცავენ გრასრუტების გაერთიანებებსა და სათემო ჯგუფებს, ასევე იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ცდილობენ შეცვალონ საზოგადოებრივი სისტემები და ძალაუფლების სტრუქტურები.

გრასრუტების გაერთიანებები სამოქალაქო საზოგადოების იდეალს განასახიერებს. მოხალისეობის სურვილის მქონე ადამიანები ერთიანდებიან და იმ პრობლემის მოგვარებაზე ზრუნავენ, რაც აწუხებთ, იწყებენ აქტიურ ქმედებებს და წყვეტენ პრობლემებს. გრასრუტების ასოციაციები მეტად დემოკრატიულია და არა იერარქიული. აქ თანამშრომლებს რაოდენობრივად მოხალისეები ბევრად სჭარბობენ. ასეთი გაერთიანება შეიძლება იყოს თვითდახმარების ჯგუფი, მაგალითად, ანონიმ ალკოჰოლიკთა კლუბი, საბინაო ამხანაგობა, მშობლების მიერ ორგანიზებული კლასგარეშე პროგრამა და სხვა მრავალი. ასეთი ჯგუფები მოხალისეების მიერ არის მართული. გადაწყვეტილებებს წინასწარი შეთანხმების საფუძველზე იღებენ ისეთ

[14] **გრასრუტ ასოციაციები** - ადგილობრივი სათემო ორგანიზაციები, რომლებიც მოქალაქეთა მოხალისეობას ეფუძნება

მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა ჯგუფის მიზანი, აქტივობები, შედეგები და პასუხისმგებლობასაც თანაბრად ინაწილებენ.

გრასრუტების გაერთიანებები ხშირად ის უცნობი ადგილებია, სადაც თემის ძლიერი მხარეების განსაზღვრა და მობილიზება შეიძლება. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ყველა თემი მდიდარი სოციალური ცხოვრებით ცხოვრობს, რაც ფორმალური მხარდაჭერის სისტემებისა და რესურსების სიმწირის კომპენსირებაში ეხმარება. გრასრუტების გაერთიანების მომხიბვლელობა იმაშია, რომ სამოქალაქო საზოგადოების ბლოკების მშენებლობით ისეთ სივრცეებს ქმნიან, სადაც ნებისმიერი შემოსავლის, რასის, გეოგრაფიული წარმოშობის და სხვა კატეგორიების მატარებელი ადამიანები შეიკრიბებიან საერთო ინტერესების ჩამოსაყალიბებლად და წინა პლანზე წამოსაწევად.

თემის ორგანიზებას საჭიროებებისთვის რესურსების მობილიზების მიმართულებით გრძელი ისტორია აქვს, რაც გულისმობს თემის შესაძლებლობების ზრდას საკუთარი პრობლემების გადასაჭრელად ძალაუფლებრივი ურთიერთობების შეცვლით. ამ ტიპის ორგანიზაციები თავიდან ფოკუსირებული იყო ადგილობრივ განვითარებაზე, სოციალურ დაგეგმარებასა და სოციალურ ქმედებაზე. 50 წლის განმავლობაში სათემო ორგანიზაციების ლანდშაფტმა მრავალი ცვლილება განიცადა. მაგალითად, გაერთიანებული ფერმის მუშები ნაცვლად ორგანიზაციის წარმომადგენლებისა, თემში ხვდებოდნენ ინდივიდებს და ორმხვრივ სარგებელს სთავაზობდნენ. ზოგი ორგნიზაცია ისეთი საკითხების მოგვარებით დაკავდა, როგორიცაა ოჯახში ძალადობა, სხვებმა მრავალფეროვნების - რასის, კანის ფერის და ა.შ. დაკავშირებული საკითხების მოგვარებაზე ზრუნვა დაიწყეს.

დღეისათვის თემის ორგანიზების ორი ძირითადი პრინციპი გამოიყენება. პირველი იმ საერთო საკითხების იდენტიფიცირებას ახდენს, რომელსაც ხალხთა ჯგუფებზე ზეგავლენა აქვს და ცდილობს მათ წახალისებას, პრობლემის კოლექტიურად გადასაჭრელად. მეორე ინდივიდებისა და მათი პირადი ინტერესების ამოძრავებაა საერთო იდენტობისა და საზიარო პლატფორმისთვის, საიდანაც ერთად შეძლებენ მოქმედებას. თეორიულად, ორგანიზაცია იღებს პასუხისმგებლობას,

იმოქმედოს იმ პირებისთვის, ვინც პრობლემის წინაშე დგას, რომელთა პრობლემებს და საჭიროებებსაც თემი აღიქვამს. თემის ორგანიზებას შეუძლია თანასწორობის, სამართლიანობისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა ან დასუსტება, მოქალაქეების ჯგუფს კი შეუძლია ამ ორგანიზების პროცესის გამოყენება სასურველი ცვლილების მისაღწევად.

გრასრუტ ასოციაციებს ხშირად სამოქალაქო საზოგადოების იდეალებთან ათანაბრებენ. მათი მეშვეობით შესაძლებელია არასახელმწიფო და არაკომერციული საქმიანობა ოჯახური ცხოვრების მიღმა. ისინი იძლევიან საჭირო შესაძლებლობებს სამოქალაქო უნარების მისაღებად და ქმედებების განსახორციელებლად საჯარო სფეროში. სათემო ორგანიზების ჯგუფები ამ ასოციაციების შემადგენელი ნაწილია, რომელიც ფოკუსირებულია უუფლებოთა თემებისთვის ძალაუფლების და ხმის მინიჭებაზე. სოციალური ცვლილების ორგანიზაციები ამ ორი ჯგუფის გზაჯვარედინზე დგას, განიხილავს უთანასწორობის გამომწვევ მიზეზებს, მაგრამ ერთვება უფრო ფართო სპექტრის სტრატეგიებსა და ასოციაციების ფორმებში, რომლებიც ცდილობენ ბალანსის, სიღრმისა და ერთგულების დაცვას ფუნდამენტური სოციალური ცვლილებებისთვის.

3.4. სოციალური მოძრაობები

ემპირიულად კოლექტიურ აქტორებს, რომლებიც ერთი მხვრივ განსაზღვრულია, როგორც სოციალური მოძრაობები, ხოლო მეორე მხვრივ როგორც სამოქალაქო საზოგადოება, გარკვეულწილად თემების გადაფარვა ახასიათებთ. ერთი დეფინიციის მიხედვით, სოციალური მოძრაობები შეიძლება სამოქალაქო საზოგადოების განუყოფელ კომპონენტად მივიჩნიოთ და პირიქით - სამოქალაქო საზოგადოების ასოციაციური ცხოვრება და მონაწილეობითი პროცესები, შეიძლება, უფრო ფართო სოციალური მოძრაობის მაჩვენებლად აღვიქვათ. უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური მოძრაობები სამოქალაქო საზოგადოებაში კოლექტიური ქმედების კოორდინაციის ერთ-ერთი შესაძლებლობაა. მათთვის დამახასიათებელია შიდა ორგანიზაციული ქსელებისა და კოლექტიური იდენტობების გაერთიანება. კოლექტიურ ქმედებას

უფრო მეტად წარმართავს ერთნაირი მოსაზრებების მქონე ადამიანების ქსელები, რომლებიც მუშაობენ ერთ სპეციფიკურ საკითხზე ან დიდ თემაზე. საბოლოოდ, ერთობლივი ქმედება შეიძლება განხორციელდეს კონკრეტული ორგანიზაციების შიგნით ფართო ქსელებისა და იდენტობების წახალისების გარეშეც.

1980-იანი წლებიდან ახალმა სოციალურმა მოძრაობებმა არსებულ პოლიტიკურ სისტემასთან კარგად შესაკავშირებლად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. მათ მოახერხეს შეეძინათ მატერიალური რესურსები, შეძლეს კომუნიკაცია გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან და ცალკეულ საკითხებზე ფოკუსირებულები გახდნენ. მათ განვითარებას ხელი იმდროინდელმა ლიტერატურამაც შეუწყო, რომელიც ყურადღებას ამახვილებდა ორგანიზაციებზე, რომლებიც კონკრეტულ საკითხებზე იყვნენ ორიენტირებული. ასე გაჩნდა „გლობალური სამოქალაქო საზოგადოება“, პროფესიონალურ, ინსტუტიციონიზებულ, კონკრეტულ საკითხებზე ორიენტირებულ ორგანიზაციებს მოიცავს.

სოციალური უფლებებისა და პოლიტიკური პასუხისმგებლობის მოთხოვნისა და იმპლემენტაციისთვის, კონკრეტული ალტერნატივების შესაქმნელად, სოციალური მოძრაობები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, სოციალურ კაპიტალს წარმოქმნიან და იყენებენ კიდეც. ქსელური მუშაობა თითოეული ორგანიზაციისა და ინდივიდის გავლენას ზრდის. მობილიზაციის შემსუბუქების მიზნით და ინკლუზიური ნორმების შესაქმნელად იწყება კოორდინაცია, რაც სხვადასხვა პოლიტიკური აქტორების ჩართულობას აადვილებს.

3.5. სოციალური საწარმო და სოციალური მეწარმეები

გლობალური სამოქალაქო საზოგადოების ბოლო დროის ყველაზე ცნობილი ინოვაცია სოციალური მეწარმეობაა. ამ ტერმინთან დაკავშირებული მიდგომები და აქტივობები სიახლეს არ წარმოადგენს, მაგრამ ცალკე ორგანიზაციული სფეროს ევოლუცია ასეთი მოქმედებისთვის ნამდვილადაა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილება სოციალური ქმედების ინსტიტუციებში.

ტერმინი „სოციალური მეწარმე“ პირველად 1970-იან წლებში გამოჩნდა, მაგრამ ბოლო 15 წელია სამოქალაქო საზოგადოების, მთავრობისა და კერძო სექტორის ურთიერთგანმსაზღვრელი დისკურსების ზედაპირზეა.

სოციალური მეწარმეობა ისეთ მექანიზმად იყო ჩაფიქრებული, რომლითაც ბიზნესს და სახელმწიფოს უფრო მეტად შეუძლია თანამშრომლობა, ინტეგრაცია და სამოქალაქო საზოგადოებისთვის კომპრომისზე წასვლა, ვიდრე სოციალური ცვლილების მოდელების განახლება და გამრავალფეროვნება. მისი მიზანია მიაღწიოს ტრადიციულ მოდელებზე უკეთეს ინოვაციურ შედეგებს და დაარღვიოს საჯარო, კერძო და სამოქალაქო საზოგადოების მიდგომების არსებული მეთოდები - სტატუს კვო სოციალური და გარემოსდაცვითი სიკეთეების უზრუნველსაყოფად.

სოციალური მეწარმეები სამოქალაქო საზოგადოების აქტორების ახალ თაობას წარმოადგენენ, რომლებიც თანამედროვე მსოფლიოს წინაშე მდგარი სისტემური პრობლემების მოგვარებას ცდილობენ. მათთვის დამახასიათებელია ისეთი თვისებები, როგორიცაა რისკი, შემოქმედებითობა, საკითხისადმი ოპტიმისტური მიდგომა და ბრიკოლაჟი. ისინი მეტ ყურადღებას აქცევენ სამოქალაქო საზოგადოების საბაზისო, დემოკრატიულ და ქსელების ტრადიციებს. მისი არსის გაგება ყველაზე უკეთ შესაძლებელია სოციალური და თემის ქმედების ისტორიულ ნორმებთან ურთიერთობაში. აღნიშნული ტრადიციები მოიცავს სივრცეს საკუთრების განაწილებული მოდელებისთვის, კომპანიის აქტივების შეზღუდვებისა და დივიდენდების კაპიტალისთვის, დემოკრატიული მენეჯმენტის და ორგანიზაციული სტრუქტურებისთვის, რომლებიც სოციალური მისიის ასახვისთვის არის შექმნილი.

სამოქალაქო საზოგადოებისთვის სოციალური მეწარმეობა აქტივობების ახალ ნაკადს გულისხმობს, რომელსაც სისტემურ სოციალურ ცვლილებებთან ერთად, „ცვლილებების შემოქმედი“ ინდივიდების გაძლიერებაც შეუძლია. სოციალური საწარმოს სამეწარმეო მოდელი მთავრობისთვის სოციალური კეთილდღეობის პროგრამების მარკეტინგისთვის მიმზიდველ მიდგომას სრული სახელმწიფო პრივატიზაციის გარეშე გვთავაზობს, კერძო სექტორისთვის - სხვა შემთხვევებში არახელმისაწვდომ ბაზართან წვდომის მოდელს, როგორიცაა სახელმწიფო

კეთილდღეობის ბიუჯეტები და სხვა თემის საჭიროებებზე მორგებული ინიციატივები.

სამოქალაქო საზოგადოების ეკონომიკა, ამ ტიპის ორგანიზაციების ზრდასთან ერთად, შეიცვალა. ხელმისაწვდომი რესურსები ტრადიციული ფონდებისგან ზეწოლის ქვეშ მოექცა, განსაკუთრებისთ 2008-2010 წლების ეკონონომიკური კრიზისის დროს. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები იძულებული გახდნენ ფინანსური რესურსების დამოუკიდებელი წყაროები მოეძიებინათ. ბევრმა მათგანმა შემოსავლის მისაღებად სცადა სამეწარმეო ხასიათის გამხდარიყო და შექმნეს სოციალური საწარმოები.

თავი IV

სამოქალაქო საზოგადოების ნორმები

4.1. სამოქალაქო საზოგადოება და სოციალური კაპიტალი

ბოლო 25 წელია სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალური კაპიტალის კონცეფციის ცნობადობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოებას გრძელი ინტელექტუალური ისტორია აქვს, მისი ფუნქციონირება თანამედროვე პოლიტიკის დებატებში სოციალური კაპიტალის კონცეფციის გავლით ჩნდება.

რა არის სოციალური კაპიტალი? სოციალური კაპიტალის მრავალი განსხვავებული დეფინიცია არსებობს. "მსოფლიო ბანკი" მას ასე განსაზღვრავს: *„სოციალური კაპიტალი ნიშნავს ინსტიტუტებს, ურთიერთობებსა და ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ საზოგადოების სოციალური ინტერაქციის ხარისხსა და რაოდენობას. სოციალური კაპიტალი არ არის საზოგადოების მხარდამჭერი ინსტიტუტების ჯამი, არამედ არის წებო, რომელიც საზოგადოებას კრავს"*. [ლიტ: http://nasrashvili.blogspot.com/2011/05/blog-post.html]

სოციალური კაპიტალის დეფინიციებს სამი მთავარი ფაქტორი აერთიანებს: **პირველი, სოციალური კაპიტალი** იგება ნორმებზე, ჩვევებსა და ნდობაზე, რომელიც საზოგადოებაში აყალიბებს მნიშვნელოვან კავშირებს, რომლებიც, თავის მხრივ, ხელს უწყობენ ახალი ქსელების შექმნას. **მეორე, სოციალური კაპიტალის ორი განსხვავებული ფორმა არსებობს:**

1. **გამაერთიანებელი (bridging)** რომელიც, აკავშირებს ინდივიდებს არამხოლოდ საკუთარი ოჯახისა და წრის წარმომადგენლებთან, არამედ საზოგადოების მათთვის უცხო წევრებთან.

2. **შემაკავებელი (bonding),** რომლის დროსაც იქმნება კლანურ-ნათესაური კავშირები.

მესამე, გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალი გამოიხატება საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული ასოციაციების შექმნაში, რადგან მნიშვნელოვანი

მიზნების მისაღწევად ადამიანთა გაერთიანებას სჭირდება გარკვეული ინსტიტუციონალიზება, რომ იმოქმედონ გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად და მოკლევადიანი პრობლემის გადაწყვეტაზე არ იყვნენ ფოკუსირებული.

ცნება სოციალური კაპიტალი იმდენად ახლოს დგას სამოქალაქო საზოგადოებასთან, რომ ზოგჯერ სინონიმებადაც იყენებენ, თუმცა, რეალურად, სამოქალაქო საზოგადობა განისაზღვრება, როგორც ჯგუფებისა და ასოციაციების ფორმალურად ჩამოყალიბებული სტრუქტურული ერთეული, რომელშიც ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნების მქონე მოქალაქეები ერთიანდებიან.

სოციალური კაპიტალი - ნდობის, ჩვევებისა და ინსტიტუტების ნაზავი, რომელიც საზოგადოებას კრავს და მრავალი მეცნიერის მტკიცებით, დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთვის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში არ არსებობს.

ქართველებს საერთო, აღიარებული მიზნების მისაღწევად საზოგადოების მათთვის უცნობ წევრებთან თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზება უჭირთ, რისი შედეგიცაა, მაგალითად, სუსტი სამოქალაქო საზოგადოება, რაც საერთო ჯამში, ქვეყნის მმართველობის ყველა სფეროში მოქალაქეთა დაბალ ჩართულობას იწვევს. პოსტკომუნისტური საზოგადოებების ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მკვლევარი მარკ ჰოვარდი[15] ასახელებს სამ მიზეზს, რომელიც სოციალური კაპიტალის დაბალ მაჩვენებელს იწვევს:

- ✓ ***პირველი*** *– კომუნისტური წარსულის გამოცდილებიდან გამომდინარე, მოქალაქეები უნდობლობით ეკიდებიან სხვადასხვა სახის ორგანიზაციებს, შესაბამისად, არ სურთ მასში გაწევრიანება.*
- ✓ ***მეორე,*** *კომუნისტურ ეპოქაში არსებულ უნდობლობის გარემოში ჩამოყალიბდა მტკიცე მეგობრული/კლანური კავშირები, რომლებიც პოსტკომუნისტურ ეპოქაში კიდევ უფრო გაძლიერდა.*
- ✓ ***მესამე*** *– „პოსტკომუნისტური იმედგაცრუება“ - კომუნიზმის დასრულების შემდეგ წარმოქმნილმა სისტემამ მოქალაქეთა იმედები ვერ გაამართლა. მათ სჯეროდათ, რომ ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური*

[15] მარკ ჰოვარდი - მკვლევარი

სისტემა მათთვის სასურველ იდეალებზე დაფუძნდებოდა, თუმცა გარდამავალმა პერიოდმა მოქალაქეთა იმედგაცრუება გამოიწვია, რამაც, თავის მხრივ, მოქალაქეთა დემობილიზაციას შეუწყო ხელი.

მკვლევარები უახლოეს მომავალში პოსტკომუნისტურ სივრცეში სოციალური კაპიტალის მაჩვენებლის გაზრდის მიმართ სკეპტიკურად არიან განწყობილნი, თუმცა ზოგიერთი მათგანი ასახლებს მექანიზმებს, რომელთაც შესაძლოა ხელი შეუწყონ სოციალური კაპიტალის გაძლირებას. უპირველეს ყოვლისა კი, ესენია, თაობათა ცვლის პროცესი და ადგილობრივი ორგანიზაციების ინსტიტუციური გაძლიერება. სოციალური კაპიტალი საქართველოში ასოციაციებსა თუ სხვადასხვა სახის ორგანიზაციაში საქართველოს მოსახლეობის 1%-ზე ნაკლები არის გაწევრიანებული. ამ მაჩვენებლით გარდამავალ ქვეყნებს შორის საქართველო ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზეა.

„საქართველოში შემაკავებელი სოციალური კაპიტალის - ნდობა და თანამშრომლობა ნათესაურ-კლანური ჯგუფის შიგნით - მაღალი მაჩვენებელია. ქართველები ერთმანეთის მიმართ სოლიდარულები არიან... საქართველოს ცნობილი სტუმართმოყვარეობა საქართველოს ღიაობის კიდევ ერთი მაჩვენებელია... თუმცა, როცა საჭიროა გარკვეული ჯგუფის ფორმალიზება, მაგალითად, მეზობლებს ან ფერმერებს შორის, ჩნდება გარკვეული პრობლემა“, - აღნიშნულია კავკასიის კვლევითი რესურსების მიერ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ანგარიშში - „სოციალური კაპიტალი საქართველოში“.[ლიტ: დროის ბანკის არსი და მუშაობის ინსტრუქციები]

როგორც ვხედავთ, საქართველოში ძირითადად შემაკავებელი სოციალური კაპიტალია, ანუ ქართველებს აქვთ კავშირები საკუთარ ნათესავებთან, თუ მეზობლებთან, ხოლო უცხოებთან სისტემური თანამშრომლობისგან თავს იკავებენ, რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ საქართველოში გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალის ნაკლებობაა. საქართველოს დაბალი სოციალური კაპიტალის უმთავრესი მიზეზი, რა თქმა უნდა, კომუნისტური წარსულია, ანუ დრო, როდესაც ადამიანებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ სხვადასხვა ორგანიზაციებში აწევრიანებდნენ, ხოლო დღეს, როცა ორგანიზაციებში გაწევრიანების ვალდებულება აღარ არსებობს, მოქალაქეებს ორგანიზაციებში გაწევრიანების, ანუ უცხო

ადამიანებთან თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზების სურვილი აღარ აქვთ. კომუნისტური წარსული უდიდეს გავლენას ახდენს არამარტო საქართველოს, არამედ პოსტკომუნისტური ქვეყნების სოციალურ კაპიტალზე, რადგან, როგორც კვლევების მიხედვით დგინდება, პოსტკომუნისტურ ქვეყნებში სოციალური კაპიტალის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია, ვიდრე მსოფლიოს სხვა რეგიონებში, ანუ განსხვავებული წარსულის მქონე საზოგადოებებში, მაგალითად, პოსტავტორიტარულ ქვეყნებში, სადაც სოციალური კაპიტალის შედარებით მაღალი მაჩვენებელია.

სოციალური კაპიტალის მაჩვენებლის გაზრდის ალბათობა რაღა თქმა უნდა, პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში სოციალური კაპიტალის გაზრდის რამე სპეციალური ფორმულა არ არსებობს, თუმცა ზოგიერთი მკვლევარი ასახელებს იმ ფაქტორებს, რომლებმაც, მათი აზრით, შესაძლოა ხელი შეუწყოს სოციალური კაპიტალის გაძლიერებას. სოციალური კაპიტალის გაზრდის პოტენციური მექანიზმი შესაძლოა თაობათა ცვლის პროცესი გახდეს, ანუ იმ ახალი თაობის წარმოჩენა, რომელსაც არ ექნება „კომუნისტური გამოცდილება“, შესაბამისად, არ განიცდის ფსიქოლოგიურ წნეხსა თუ წარსული გამოცდილების საფუძველზე აღმოცენებულ უნდობლობას სხვადასხვა ორგანიზაციების მიმართ. სოციალური კაპიტალის გაძლიერების მეორე, პოტენციური მექანიზმი სხვადასხვა ორგანიზაციების მიმართ ადამიანთა დამოკიდებულების შეცვლა, ანუ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება.

4.2. სამოქალაქო და არასამოქალაქო საზოგადოება

სამოქალაქო საზოგადოების მიღმა კიდევ ერთი კონცეფცია - არასამოქალაქო (არაცივილური) საზოგადოება იმალება. იგი ჩანასახშივე უნდა მოვსპოთ, რადგან მცირე ანალიტიკური ღირებულებების მქონეა და უსარგებლო იდეებს ავრცელებს. ასეთი ორგანიზაციები 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში ტერორისტული თავდასხმების შემდეგ გამოჩნდა. არასამოქალაქო ორგანიზაცია მოჩვენებითი სიმკაცრისა და შეურაცხყოფის ნარევია.

ჯგუფებს, რომლებიც მოსწონთ ანალიტიკოსებს, სამოქალაქოს უწოდებენ, ხოლო რომლებიც სძულთ - არასამოქალაქოს.

სამოქალაქო საზოგადოების მსგავსად, არასამოქალაქო საზოგადოებაც ცუდად არის განსაზღვრული. იგი სამოქალაქო საზოგადოების ბნელი მხარეა.

არასამოქალაქო ჯგუფებს შიდა იერარქიები და დემოკრატიის ნაკლებობა ახასიათებთ. ისინი ვერ უწყობენ ხელს პროგრესულ განვითარებას და აგრესიულები არიან.

შეიძლება თუ არა ადამიანთა ჯგუფებს, რომლებიც მხარს უჭერენ შეუმწყნარებლობას, უპატივცემულობას, იერარქიას, ავტორიტარულ რეჟიმს, კონფლიქტს და კარგი საზოგადოების განადგურებას ცდილობენ, „არასამოქალაქო“ ვუწოდოთ? ეს კონცეფციები ცხარე დებატების საფუძველი ხდება. მისი ამგვარი გაგება სამოქალაქო საზოგადოების დიაპაზონს ავიწროვებს, ამგვარი კონფლიქტი კი ყოველთვის აქტივიზმის ნაწილია. თუკი სამოქალაქო საზოგადოება არ ცდილობს საზოგადოების უკეთესობისკენ შეცვლას, რასაც შესაძლოა არასამოქალაქო საზოგადოება დაუპირისპირდეს, ამ შემთხვევაში სამოქალაქო საზოგადოება თავად ვეღარ იქნება კარგი საზოგადოება.

4.3. სამოქალაქო საზოგადოება და ცივილურობა

თეორეტიკოსები და პოლიტიკოსები იმედოვნებენ, რომ სამოქალაქო საზოგადოებრივ გაერთიანებებში მონაწილეობა ადამიანებს ასწავლის თუ როგორ გახდნენ „ცივილურები“ და თავაზიანები. „ცივილიზაციურ“ ქცევას კი დიდი ცვლილებები მოაქვს. სწორედ ეს სამი ელემენტი - ცივილურობა, მოქალაქეობრიობა და სამოქალაქო გაერთიანებები სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა თეორიისგან წარმოიშვა. მართალია, ცალ-ცალკე თითოეული მათგანი სუსტია, მაგრამ ისინი ხშირად იკვეთებიან, რაც საკმაოდ რთული ამოცანაა. ის, რაც საზოგადოებრივ გაერთიანებაში ზრდილობიანად ითვლება, შესაძლოა ოჯახში ან სკოლაში კარგ ტონად არ ჩაითვალოს; რაც კარგ ტონად ითვლება ერთი ტიპის გაერთიანებაში ან კულტურაში, შესაძლოა სხვაგან სხვაგვარად აღიქმებოდეს.

ალექსის დე ტოკვილი[16] ადგილობრივი მოქალაქეების ჩართულობას თავიანთ თემებში ასე აღწერს: *„მეზობლებისგან სითბოს და პატივისცემის მისაღებად საჭიროა მცირე სერვისებისა და კეთილი საქმეების ხანგრძლივად განხორციელება, სიკეთის მუდმივი ჩვევა და უანგარობის მყარი რეპუტაცია“* {ლიტ: „ალექსის დე ტოკვილი და თანამედროვე სამოქალაქო ასოციაციები“, ნინა ელიასოფი}. ეს მიმზიდველი მოდელი გვთავაზობს ისეთ ხედვას, სადაც არ არსებობს სერიოზული კონფლიქტი, სამყაროს, რომელშიც ყველა თანასწორია, საზოგადოებას, სადაც სხვადსხვა ინდივიდებს საერთო ენის გამონახვა შეუძლიათ და თავს კომფორტულად გრძნობენ, სამყარო, რომელშიც სამოქალაქო მონაწილეობა ზრდილობითა და სამართლიანობით ხასიათდება.

რა როლს თამაშობს ტოკვილის ხედვა თანამედროვე ტიპის სამოქალაქო გაერთიანებებში? აქ ორი კატეგორია გვაქვს:

პირველი, მოხალისეობრივი ასოციაცია - ტოკვილის იდეალის თანამედროვე განხორციელება;

მეორე - არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც აქვს მთავრობის, არამომგებიანი ორგანიზაციის და მოხალისეობრივი ელემენტები, მუშაობს შემოსავლის სხვადასხვა წყაროზე და ახორციელებს სხვადასხვა ტიპის „მხარდამჭერ პროექტებს“. ბევრი მათგანის მისიაა თემის განვითარება, მონაწილეობის გაზრდა, მრავალფეროვნების მხარდაჭერა, სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერება, მთავრობის „ხალხთან ახლოს“ მიყვანა და „ადამიანების ერთმანეთთან დაახლოება“.

განსხვავებული წარსულისა და გამოცდილების მქონე ადამიანების შეკავშირება თავდაპირველად შესაძლოა არაკომფორტული იყოს. როცა წევრებს სხვადასხვა მოსაზრებები და იდეები აქვთ, ერთმანეთის გასაგებად დიდი დრო სჭირდებათ. თუმცა, როგორც აქტივისტი და ფილოსოფოსი ჯეინ ადამსი თავის სამუშაოს აღწერს მეოცე საუკუნის „თავშესაფრებში“ მყოფ იმიგრანტებთან ჩიკაგოში, *„დაბნეულობისა და სირთულისადმი ღიაობა მრავალფეროვანი საზოგადოების მორალური მოვალეობაა.“* [ლიტ: „დაბრკოლებები ცივილურობის მოქალაქეობრიობასთან დაკავშირების გზაზე“, ნინა ელიასოფი}

[16] **ალექსის დე ტოკვილი** - ფრანგი დიპლომატი, პოლიტოლოგი და ისტორიკოსი

ტოკვილის დროისგან განსხვავებით, სამოქალაქო გაერთიანებები არ წარმოიშობა თანმიმდევრული და აქტიური საზოგადოებისგან. თუკი ორგანიზაცია მუშაობს უსამართლო და უთანასწორო საზოგადოებაში, მაშინ ცივილურობა კარგი გრძელვადიანი მიზანია.

დემოკრატიამ შესაძლოა ცივილურობაზე უარის თქმა მოითხოვოს. მალვინა რეინოლდსის ამერიკულ საპროტესტო სიმღერაში ნათქვამია: „სულაც არ არის მშვენიერი სურსათის დაყრა. სულაც არ არის მშვენიერი ციხეში წასვლა. გაცილებით უკეთესი გზები არსებობს ამისთვის. მაგრამ ეს გზები არასდროს ამართლებს. ეს სულაც არ არის მშვენიერი... მაგრამ თუ ეს თავისუფლების საფასურია, მაშინ არ გვადარდებს.“ ზოგიერთი უხეში საქციელი შესაძლებელია სამოქალაქო მოვალეობით იყოს გამოწვეული. ასეთ შემთხვევებში მნიშვნელოვანია ზრდილობისა და პოლიტიკის გამიჯვნა. კარგი მოქალაქეობა მოითხოვს სხვა მოქალაქეების გამოფხიზლებას და არა შეურაცხყოფას. განზრახ უპატივცემულობისა და ცუდი მანერებისგან მოქალაქეები სარგებელს ვერ ან იშვიათად ნახულობენ. ცივილურობა ხომ რთულად მოპოვებული მიღწევაა და არა საწყისი წერტილი.

4.4. სამოქალაქო საზოგადოება და თანასწორობა

ალექსის დე ტოკვილი მნიშვნელოვან ტრაქტატში, რომელსაც ამერიკის სამოქალაქო საზოგადოების შესახებ წერდა, აღნიშნავს: „თანაბარი პირობები ფუნდამენტური ფაქტია, რომლისგანაც ყველა დანარჩენი წარმოიქმნება.“ უთანასწორობის მაღალი დონე კარგი საზოგადოებისკენ მიმავალ დემოკრატიულ ბილიკს ბუნდოვანს ხდის საჯარო სივრცისთვის. სამოქალაქო საზოგადოებისთვის არსებითია თანასწორობისთვის ბრძოლა და მისი გავრცელება.

რას ნიშნავს თანასწორობა? მეოცე საუკუნის დარვინისტი უილიამ გრეჰემ სამნერი წერდა: „მტკიცება, რომ ყველა ადამიანი თანასწორია, ალბათ, ყველაზე დიდი სიცრუეა იმ დოგმებს შორის, რაც კი ადამიანის ენას უთქვამს. ფაქტებზე ხუთ წუთიანი დაკვირვებაც მოწმობს, რომ ადამიანები სულაც არ არიან თანასწორები ვარიაციების

ფართო დიაპაზონშიც კი. ადამიანები არ არიან მარტივი ერთეულები. ისინი ძალიან რთულები არიან, არ არსებობს ისეთი ცნება, როგორიცაა ერთეული ადამიანი.“[ლიტ]

სამნერამდე საუკუნეებით ადრე არისტოტელემ თანასწორობის დეტალური განმარტება წარმოადგინა: თანასწორობის იდეა სამართლიანი საზოგადოების მთავარი საყრდენია, რაც ნიშნავს „შემთხვევებს მოეპყრო როგორც“ იურიდიულად, ასევე პოლიტიკურად. ნენსი როზენბლუმმა კი ამ აგებულებაზე დაყრდნობით შექმნა „დემოკრატიის მთავარი ღირებულებების სია“. ედვარდსის აზრით „სერიოზული უთანასწორობებისა და არასაიმედოობის არსებობა საფრთხეს უქმნის სამოქალაქო საზოგადოებას, როგორც დემოკრატიულ წამოწყებას და ელიტებს დიდ გავლენას უგდებს ხელთ.“ რადგან სამოქალაქო საზოგადოებას და ზოგადად - დემოკრატიას უსამართლობა ემუქრება, სამოქალაქო საზოგადოების დღის წესრიგში თანასწორობის მხარდაჭერა დგას.

რადიკალური თანასწორობა უთანასწორობის, როგოც მისი საფუძვლის გამოწვევაა. მისი მიზანი ჩაგვრის გაუქმება და ადამიანის ფუნდამენტური თანასწორობაა, რომელსაც შეუძლია „დემოკრატიულ საზოგადოებამდე“ მიგვიყვანოს. ფაქტობრივად, უთანასწორობა „საჯარო სფეროს“ მტერია და სოციალური თანასწორობა პოლიტიკური დემოკრატიისთვის აუცილებელი პირობაა.

თანასწორობაზე საუბრისას არ უნდა გამოგვრჩეს საბჭოთა სახელმწიფოში თანასწორობის კონკრეტული ხედვის ჩავარდანა. ამიტომაც არის, რომ თანასწორობის დამცველები თავს შორს იჭერენ კომუნიზმისგან და განსაკუთრებით რადიკალური თანასწორობის იდეისგან. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რადიკალური თანასწოსწორობის იდეა გვაწვდის სამოქალაქო საზოგადოების გაბედულ და ერთიან ხედვას, სადაც დიდი პოტენციალი გააჩნია ინსტიტუციების დასაძრავად თანასწორობისა და სამართლიანობისკენ. სწორედ თანასწორობის აღიარება ანიჭებს სამოქალაქო საზოგადოებას სრულყოფილ ფუნქციას სამყაროს უკეთესობისკენ შესაცვლელად.

4.5. სამოქალაქო საზოგადოება და „კარგი მოქალაქე“

დემოკრატიულ სახელმწიფოში სამოქალაქო პასუხისმგებლობა და საჯარო მონაწილეობა ღიად თუ ფარულად მოქალაქეობის კონცეფციებს ეყრდნობა.

რას ნიშნავს იყო კარგი მოქალაქე? რა ვალდებულებები აქვს მას? რა განსხვავებული წარმოდგენები აქვთ სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს „კარგი მოქალაქის“ შესახებ? მონაწილეობის შეზღუდვასთან დაკავშირებული მიზეზები და გავლენა მსგავსია თუ არა სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისთვის და მონაწილეობის სხვადასხვაგვარი ფორმებისთვის?

ყველა სამოქალაქო საზოგადოება მოიცავს მრავალფეროვან ასოციაციებს. მათი დღის წესრიგი ეყრდნობა იდეოლოგიას, პოლიტიკას, კულტურას, რელიგიას, მიზანს... სწორედ ამიტომ არის საჯარო სფერო მნიშვნელოვანი, რომ ქმნის სივრცეებს, სადაც ეს განსხვავებული დღის წესრიგი განიხილება. მონაწილეობა და მოქალაქეობა გვაძლევს საშუალებას, გავლენა მოვახდინოთ განსხვავებულ ნორმებსა და პრაქტიკებზე. ამ სივრცის მრავალეფეროვნების აღქმით შესაძლებელია შევაფასოთ რას მატებენ განსხვავებული ჯგუფები სამოქალაქო საზოგადოებას, რა წვლილის შეტანა შეუძლიათ მის ამოძრავებასა და გამოცოცხლებაში.

დემოკრატიული რეაგირებისთვის ხალხის მონაწილეობა აუცილებელია და არსებით დემოკრატიულ სიკეთედ აღიქმება. არათანაბარი მონაწილეობა საფრთხეს წარმოადგენს დემოკრატიისა და პოლიტიკური თანასწორობისთვის. ჯგუფურ განსხვავებებს აქვს პოტენციალი შეზღუდოს ან გააფართოვოს მოქალაქის უნარი და ინტერესი სამოქალაქო მონაწილეობის მიმართ. უფროსი ასაკის ჯგუფებში პრივილეგირებულია მონაწილეობის ისეთი ტრადიციული ფორმები, როგორიცაა არჩევნებში მონაწილეობა და პარტიული წევრობა. ახალგაზრდები ძირითადად არაფორმალური კავშირების წევრები არიან და მათში პოპულარულია ბოიკოტი, პეტიციაზე ხელმოწერა და დემონსტრაციებში მონაწილეობა. ბოლო პერიოდში იზრდება მოხალისეობის როლი და ახალგაზრდების სხვადასხვა ჯგუფები აქტიურად მონაწილეობენ მოხალისეობრივ გაერთიანებებში.

კარგი მოქალაქეობის ნორმები ორგანიზებულია სამი პრინციპული ნორმის ირგვლივ. პირველ რიგში მოქალაქეებმა პოლიტიკური აქტივობა მთავარ მნიშვნელად უნდა ჩათვალონ, როგორიცაა, მაგალითად ფოკუსირება სამართლიან არჩევნებში მონაწილეობაზე ხელისუფლებაში წარმომადგენლის ასარჩევად. ამავე კატეგორიაში უნდა განვიხილოთ პოლიტიკის არასაარჩევნო ფორმებიც, მაგალითად მაჟორიტარი დეპუტატისა და მერის ანგარიშის მოსმენა. მეორე აქცენტი სამოქალაქო მოვალეობისა და სოციალური წესრიგის მიმართ ერთგულებისკენ მიემართება. იგი კანონმორჩილებას, გადასახადების გადახდას და სახელმწიფოს ძალაუფლების მიღებას გულისხმობს. მესამე აქცენტი მოქალაქეობის ისეთ სოციალურ პასუხისმგებლობაზეა დამყარებული, რომელიც გულისხმობს ტოლერანტობას, მოხალისეობას, სუფთა და უსაფრთხო გარემოს, სამართლიანობისა და თანასწორობისკენ სწარფვას, რაც დღითიდღე უფრო დიდ გავლენას იძენს.

ზოგადად, მოსახლეობის მრავალფეროვნება მოქალაქეობის ნორმების მრავალფეროვნებას აფართოებს. სამოქალაქო საზოგადოებაში მრავალფეროვნება მოითხოვს გვესმოდეს სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის მონაწილეობების განსხვავებები, დავფიქრდეთ და გავაფართოვოთ ჩვენი მიდგომა მოქალაქეობისა და მონაწილეობის მნიშვნელობისადმი.

თავი V

საზოგადოებრივი გაერთიანებების სივრცეები

5.1. სამოქალაქო საზოგადოება და მთავრობა

სამოქალაქო საზოგადოებასა და მთავრობას კონცეპტუალური და ინსტიტუციური ისტორია აქვს, რომელიც სოციალურ და პოლიტიკურ განვითარებას უკავშირდება. მუდმივად ჩნდება ახალი ინსტიტუტები, ხდება საზღვრების ცვლილება და სამოქალაქო საზოგადოებისა და მთავრობის ახლებული ინტერპრეტაციების წარმოქმნა. ეს ცვლილებები ტრანსფორმაციულ ხასიათს ატარებს, რის შედეგადაც სამოქალაქო საზოგადოება ეკონომიკისა და მთავრობისგან განცალკევებულ და დამოუკიდებელ სფეროდ იქცა და ზნეობისა და სოციალური ცხოვრების სივრცედ განისაზღვრა.

სამოქალაქო საზოგადოებასა და მთავრობას შორის არსებული საზღვრებისა და მათი გადაკვეთის შესახებ, მათი მთავარი მახასიათებლების განსაზღვრისა და საზღვრების მოძრაობასთან დაკავშირებით, ბევრი ანალიტიკური პრობლემა იჩენს თავს.

მთავრობის გადმოსახედიდან, სახელმწიფო ყოვლისმომცველი სივრცეა, რომელიც წარმოადგენს მოქალაქეების ხმებს და პასუხისმგებლობა აკისრია იმ ქმედებებზე, რომელთა განხორციელებაც აუცილებელია საერთო მიზნების მისაღწევად. კანონისა და საჯარო პოლიტიკის მეშვეობით მთავრობა ქმნის სივრცეს, სადაც ყალიბდებიან და მუშაობენ სამოქალაქო საზოგადოების გაერთიანებები. მთავრობავე განსაზღვრავს ამ გაერთიანებების იურიდიულ სტატუსებს, უფლებებსა და პასუხისმგებლობებს, აგრეთვე იმასაც, თუ რომელი ჯგუფები და საქმიანობები უნდა ჩაითვალოს კანონგარეშედ. საჯარო სამართალი ადგენს თანამშრომლობის პირობებს და კონფლიქტის დასაშვებ ზღვარს. ზეწოლისა და წახალისების მექანიზმებით მთავრობა ხელს უწყობს, ზღუდავს, არეგულირებს, მიმართავს, მხარს უჭერს იმ უწყებებსა და გაერთიანებებს, რომლებიც სოციალურ ცხოვრებას წარმართავენ. სოციალური გაერთიანებების ადეკვატურობაც მთავრობამ უნდა

უზრუნველყოს. მათი წინააღმდეგობა საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს სტაბილურ დემოკრატიას, ხელს უნდა უწყობდეს კანონის თანაბარ დაცულობას და შესაბამის პროცესებს. მთავრობის ერთ-ერთი ამოცანაა ხელი შეუწყოს საჯარო მიზნების მისაღწევად საჭირო საზოგადოებრივი დემოკრატიული ნორმებისა და ვალდებულებების დაცვასა და შესრულებას.

სამოქალაქო საზოგადოების პერსპექტივებიდან, გაერთიანებების ცხოვრება მოიცავს აქტივობებისა და ვალდებულებების ისეთივე ფართო სპექტრს, როგორსაც ადამიანის საჭიროებების დაკმაყოფილება და ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც ადამიანის წარმოსახვა.

რა შეზღუდვები უნდა დააწესოს მთავრობამ გაერთიანებების ფორმირებისა და საქმიანობისთვის? დემოკრატიის თეორიაში არსებობს ზოგადი შეთანხმება, რომ მთავრობამ არ უნდა დაუშვას „გაუმაძღარი ინსტიტუციების“ კონტროლი მათი წევრების ცხოვრების ყველა ასპექტზე. საჭიროა კარგად განვითარებული გამოსვლის სტრუქტურების შექმნა და მათი აღსრულება კანონის ძალით.

მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის არსებულ საზღვარს გააჩნია თავისი ნორმატიული და პოლიტიკური შედეგები. მთავრობა უნდა იყოს საკმარისად ძლიერი და დამოუკიდებელი სამოქალაქო საზოგადოების გაერთიანებებისგან, რათა შეძლოს შესაბამისი პიროების შექმნა და შენარჩუნება, უზრუნველყოს, რომ ნაწილობრივი ასოციაციები არ გადაიქცნენ აბსოლუტური ძალაუფლების წყაროდ. სამოქალაქო საზოგადოება განუყოფელია შეზღუდული მთავრობისგან და ნებაყოფლობითობისა და შეკრების თავისუფლების უფლებისგან.

თეორეტიკოსები სამოქალაქო საზოგადოებას ორ ძირითად ფუნქციას მიაწერენ, რომლებიც დემოკრატიის სიცოცხლისუნარიანობისთვის უმნიშვნელოვანესია: პირველი - სივრცე სახალხო წინააღმდეგობისთვის და უმწეოების გაძლიერების როლით ითავსებს მეორე ფუნქციას - მოქალაქეთა ორგანიზება დემოკრატიული მონაწილეობისთვის. ორგანიზაციებისა და ჯგუფების დიდ ნაწილს შეუძლია, ზემოთ დასახელებული ფუნქციების გარდა, რესურსების მობილიზება, დაცვისთვის ბრძოლა და სოციალური პილიტიკის განვითარება. სამოქალაქო საზოგადოების

შესაძლებლობებმა ბიძგი მისცა სახალხო მსჯელობას და მათ აპათიური მოსახლეობა ჩართეს პოლიტიკურ პროცესებში, შექმნეს დემოკრატიული აუდიტორია და მონიშნეს ის სივრცეები, სადაც შესაძლებელი იყო პოლიტიკის, პრობლემებისა და იდეების განხილვა და გადაჭრა.

5.2. სამოქალაქო საზოგადოება და სამოქალაქო თავისუფლებები

სამოქალაქო საზოგადოების სივრცეები ისეთ ასპარეზს გვთავაზობს, სადაც მოქალაქეები ერთობლივად ერთვებიან, მსჯელობენ და განიხილავენ ყოველდღიურ საკითხებს, საზოგადოების სამომავლო მიმართულებებთან დაკავშირებით თანხმდებიან და დემოკრატიის, მმართველობისა და დიალოგის პოლიტიკაში მონაწილეობენ. ამ სივრცეებს სახელმწიფო მართავს: ხან აფართოებს და ხან ზღუდავს მათ ინტერესების, სისტემების, პარტიების და ძალაუფლების მქონე პირების ინტერესების მიხედვით. ამგვარი კონტროლის მექანიზმი, ზოგიერთ ქვეყანაში, მხოლოდ სახელმწიფოს ან პარტიულ ძალაუფლებას ეყრდნობა, ზოგან კი ამ სივრცეების რეგულირების ძირითადი მექანიზმი კანონია.

დემოკრატიული სახელმწიფოები შეზღუდვებს აწესებს სივრცეებზე, უფლებებზე და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების თავისუფლებაზე, მაგრამ ეს შეზღუდვები თავისი ხასიათით ფუნქციურია. დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა შესაძლებელია რეგულაციების ფართო სპექტრში მოაქციოს სამოქალაქო საზოგადოება, როგორიცაა, მაგალითად, ადვოკატირების მოცულობის განსაზღვრა. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სოციალურ და პოლიტიკურ ადვოკატირებაზე პირდაპირი და მაკონტროლებელი შეზღუდვები ნაკლებად გვხვდება დემოკრატიულ ქვეყნებში. ისინი ვრცელდება კონკრეტულ ინდივიდებზე და ჯგუფებზე და არ მიემართება კონკრეტულად სამოქალაქო საზოგადოებას ან რომელიმე სხვა ჯგუფს. თუმცა ზოგჯერ დემოკრატიულ საზოგადოებაშიც დგება საფრთის ქვეშ სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების სივრცეები, უფლებები და თავისუფლებები. არადემოკრატიული ქვეყნებისგან განსხვავებით, დემოკრატიულ სახელმწიფოებში სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია იბრძოლოს თავისი

უფლებებისთვის საკანონმდებლო და პოლიტიკურ პროცესებში. რადგან არადემოკრატიული სახელმწიფოები საკუთარი სურვილით ქმნის და უწესებს შეზღუდვებსა და თავისუფლებებს სამოქალაქო საზოგადოებას, საგულდაგულოდ ამოწმებს იმ სივრცეს, რომელიც ორგანიზაციების სხვადასხვა ტიპებისთვისაა განსაზღვრული, აკონტროლებს მათ მუშაობას და სახელმწიფოსა და მმართველი პარტიის საჭიროებებს. ასეთი ძლიერი და პირდაპირი დისკრედიტაციული შეზღუდვების კარგი ილუსტრაციაა ჩინეთი და ვიეტნამი, რომლებიც არადემოკრატიული სახელმწიფოების მიერ სამოქალაქო საზოგადოებისთვის დაწესებულ თავისუფალი სივრცის შეზღუდვას წარმოაჩენენ.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები არ არიან სახელმწიფოს მტრები. არადემოკრატიულ ქვეყნებში მთავრობები პირდაპირ და განზრახ ზღუდავენ სამოქალაქო საზოგადოების როლს იურიდიული და პოლიტიკური საშუალებებით. სადაც შესაძლებელია, გარე დონორებმა, ფონდებმა, მთავრობებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა იმუშაონ ასეთ სახელმწიფოებთან, დაეხმარონ მათ, დაანახონ სამოქალაქო საზოგადოების სარგებელი და აუხსნან ამ ჯგუფებისთვის თავისუფლების გარანტიის მნიშვნელობა, რასაც ბევრი სახელმწიფო საკუთარი კანონებისა და კონსტიტუციის საშუალებით იცავს. სწორედ საგულდაგულოდ შედგენილი კანონებით დახმარებას საჭიროებს აღნიშნული ტიპის ქვეყნები და პოლიტიკით, რომელიც თანდათანობით მოიტანს ბალანსს უფლებებსა და პასუხისმგებლობებს შორის და რომელიც შედეგიანი იქნება შემზღუდველ კონტექსტშიც კი.

5.3. სამოქალაქო საზოგადოება და საჯარო სფერო

საჯარო სფეროს მნიშვნელობა, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების საფუძველში დევს, კრეიგ კალჰუნის აზრით, სამ ძირითად არგუმენს ემყარება: პირველის მიხედვით, ყოველთვის იქნება ისეთი საკითხები, რომელიც აწუხებს ყველა მოქალაქეს და მათი ცხოვრების ერთობლივ ორგანიზებას ეხება. მეორე არგუმენტის მიხედვით, მოქალაქეებს შეუძლიათ გამოძებნონ მიდგომა საერთო საკითხებისა და

პრობლემებისადმი დიალოგის, დებატების და შემოქმედებითობის მეშვეობით. მესამე მტკიცებულების მიხედვით, სახელმწიფო და სხვა ძლევამოსილი ორგანიზაციები უნდა ემსახურებოდნენ ჩვეულებრივი ადამიანების - საზოგადოების კოლექტიურ ინტერესს და არა მხოლოდ სახელმწიფო ძალაუფლების განმტკიცებას, ტრადიციული ფასეულობების მხარდაჭერას, ან მმართველებისა და ელიტების პირადი ინტერესების დაცვას.

თეორიები საჯარო სფეროს შესახებ თანამედროვე სახელმწიფოსა და მისი ადმინისტრაციული აპარატის ჩამოყალიბებასთან ერთად განვითარდა კაპიტალისტური ეკონომიკის გაძლიერების ფონზე, რომელსაც სიმდიდრისა და უთანასწორობის გავრცელების უდიდესი პოტენციალი აქვს, ამჟღავნებს მიდრეკილებას კრიზისებისკენ და ადამიანებისა და ბუნების ექსპლუატაციის ტენდენციებს.

კრეიგ კალჰუნი[17] სამოქალაქო საზოგადოების შესახებ ხუთ ხედვას აყალიბებს:

პირველი ცნება უკავშირდება ურბანულ სოციალურ კავშირებს. სოციალური ცხოვრება არ შემოიფარგლება მხოლოდ ოჯახით, ნათესავებითა და მეზობლებით. იგი პირადი ცხოვრების სხვადასხვა ზონის საზღვრების მიღმა აღწევს და ისეთებსაც იზიდავს, რომლებისთვისაც აქამდე არ არსებობდა ორმხვრივობისა და დამოკიდებულების განსაზღვრებები. შუა საუკუნეებში, როცა თვითმმართველობის ტრადიცია მძლავრი იყო, ხელოსნებისა და ვაჭართა გილდიების აქტიური მონაწილეობით, ისინი ორგანიზებას უწევდნენ სოციალურ ცხოვრებას.

მეორე მოსაზრების მიხედვით, ბაზრების სისტემა ნელ-ნელა გასცდა პირდაპირი ურთიერთობის სივრცეს და ფართომასშტაბიან გაცვლის სისტემებში გადაიზარდა. თავის დროზე ჯონ სმიტი ამტკიცებდა, რომ ბაზრები შესაძლებელს ხდიდა სოციალურ თვითორგანიზებას არა მხოლოდ გაცვლითა და მოთხოვნა-მიწოდების ბალანსით, არამედ იმითაც, რომ ინდივიდებს შეეძლოთ წვლილი შეეტანათ კოლექტიურ კეთილდღეობაში. მისივე აზრით, სამოქალაქო საზოგადოებას შეეძლო ორგანიზება და ოპერირება სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევის გარეშე.

[17] **კრეიგ კალჰუნი** - აშშს სოციალური მეცნიერებების კვლევითი საბჭოს პრეზიდენტი, პროფესორი

მიუხედავად იმისა, რომ ბაზარი გარდაქმნებოდა კერძო არჩევანს პოტენციურად საზოგადო სარგებლად, ის არ უზრუნველყოფდა რაიმე მექანიზმს გააზრებული და გონივრული საჯარო არჩევანის გასაკეთებლად.

მესამე მოსაზრების თანახმად, სამოქალაქო საზოგადოება კოლექტიური არჩევანის საკითხს წარმოადგენს, თუმცა მთავრობას არ მოიაზრებს. როდესაც ჩვეულებრივი ადამიანები ახერხებენ გაერთიანებებში ორგანიზებას და მოქმედებას, კოლექტიური სიკეთე იოლად მიღწევადია. ამ მოსაზრების მიხედვით, სამოქალაქო საზოგადოება არის ველი, სადაც ადამიანებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესებისთვის მოქმედება და მათი თანამოქალაქეების საჭიროებებზე ზრუნვა. ქალაქის ან ქვეყნის მცხოვრებლებს შეუძლიათ მოიზიდონ ფულადი სახსრები საჯარო მიზნებისთვის, თუკი მათი მცდელობის საერთო შედეგი უფრო მეტია, ვიდრე პირადი სარგებლის მიღება. ამ მოსაზრების მიხედვით, თავისუფლება უზრუნველყოფილია ადამიანების მიერ თვითორგანიზების უფლების განხორციელებით. ამ შემთხვევაში სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის განსხვავება პროგრესის მისაღწევად ძირითადი გეგმის არარსებობაში მდგომარეობს.

მეოთხე მოსაზრების მიხედვით, სამოქალაქო საზოგადოება ვერ იარსებებს სახელმწიფოს გარეშე, რომელიც ერთობისა და შეთანხმებული საერთო ქმედების მექანიზმებს უზრუნველყოფს. შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო ერთმანეთს ავსებს. რამდენიც არ უნდა ვიმსჯელოთ და ვიკამათოთ, სახელმწიფო აძლევდა და დღემდე აძლევს სამოქალაქო საზოგადოებას - საზოგადოებრივ გაერთიანებას ფორმას (იურიდიულ სტატუსს), სახელმწიფო ქმნიდა კანონებსა და სამართლებრივ ბაზას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფუნქციონირებისათვის და აყალიბებდა მექანიზმებს, რომელიც უზრუნველყოფდა ბალანსის დაცვას სამოქალაქო საზოგადოების აქტორებს შორის.

სამოქალაქო საზოგადოების შესახებ **მეხუთე** ხედვა ფოკუსირებულია კულტურაზე. კულტურა უდიდეს როლს თამაშობს ადამიანებს შორის შეტანხმების დადებასა და მათ შესრულებაში, რაც უმნიშვნელოვანესია სამოქალაქო საზოგადოების იდეისთვის. კულტურა საზოგადოების წევრებს აკავშირებს, რაც

კულტურულიმონაწილეობის ურთიერთგადამკვეთ სფეროებს გულისხმობს (საერთო რელიგია, საერთო ბიზნესი და სხვა). მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ისიც, რომ კულტურა არ არის მხოლოდ მემკვიდრეობის ფაქტორი, არამედ განგრძობით შემოქმედებას წარმოადგენს, ხოლო რეპროდუქციის პროცესი სიახლეებს აერთიანებს და ხელს უწყობს ენის განახლების მნიშვნელოვან ცვლილებას.

საჯარო სფერო კომუნიკაციებისა და კულტურული შემოქმედებითობის კომბინირებით ფუნქციონირებს. მისი მიზანია საზოგადოების ინფორმირება და ამით გავლენის მოხდენა სახელმწიფოსა და სხვა ინსტიტუტებზე. მისი სიცოცხლისუნარიანობა სამოქალაქო აქტივიზმზეა დამოკიდებული, თუ საზაგადოება პასიურია, მისი მნიშვნელობა იკლებს.

საჯარო კომუნიკაცია ცხოვრების დინებას არ მიყვება. საჯარო სფერო შესდგება მრავლობითი და ნაწილობრივ ურთიერთგადამფარველი საზოგადოებისა და კონტრსაზოგადოებებისაგან, რაც საზოგადოებრივი სიკეთეების განსხვავებულ გაგებას ქმნის. ღიაობისა და კრეატიულობის ხარისხით შესაძლებელია მათი შეფასება, თუ რამდენად წარმატებულად ახერხებს საჯარო საკითხების გადაჭრას.

5.4. ციფრული ეპოქის სამოქალაქო საზაგადოება

ფილოსოფოსმა მიშელ დესერტუმ თავის დროზე ასე იწინასწარმეტყველა: „ტელეკომუნიკაციამ და მასთან დაკავშირებულმა პრაქტიკებმა სამეტყველო სივრცის სრული რეორგანიზაცია მოახდინა.“ იგი ამბობდა, რომ „კომუნიკაციის ოკეანეში“ ტალღები და დინებები კიდევ უფრო ძლიერდება ისეთი ელექტრონული მედიის გამოყენებით, როგორიცაა ტელეფონი, რადიო და ტელევიზია. ჩვენ ყოველდღიურად ვხედავთ, ვაკვირდებით და ვრწმუნდებით, როგორ მართლდება მიშელ დესერტუმის წინასწარმეტყველება და როგორ ფარავს სამეტყველო სივრცეს ელექტრონული ქსელები, რომელსაც უკვე ონლაინ სისტემაც დაემატა. ეს ქსელები საშუალებას აძლევს ადამიანებს მთელ მსოფლიოში გაავრცელონ და გაცვალონ ინფორმაცია - ფოტო, მუსიკა, ვიდეო, ტექსტი, საუბრები...

კომუნიკაციის ახალ ფორმებზე გაზრდილი წვდომა სამოქალაქო ჩართულობისა და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მექანიზმს წარმოადგენს. 1950 წლიდან, როდესაც პირველად გამოჩნდა კომპიუტერი, სხვადასხვა ფორმის რეპორტაჟები მოგვითხრობს, თუ რა გავლენას ახდენს ტექნოლოგიები სამუშაო ადგილებზე, პირად ურთიერთობებზე, მთავრობაში და ზოგადად, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. სამოქალაქო გაერთიანებებიც მოერგნენ ტექნოლოგიური ინოვაციების ერთმანეთის მიყოლებულ ტალღებს.

სამოქალაქო საზოგადოების პოტენციალი ციფრულ ეპოქაში ყველაზე საინტერესო კითხვებსა და შესაძლებლობების აზროვნების ორ პოლუსს - ოპტიმისტურს და სკეპტიკურს - შორის ათავსებს. ორივე პოზიცია მძლავრ არგუმენტებს ფლობს. სამოქალაქო საზოგადოება და ციფრული ტექნოლოგიები ერთმანეთთან ორმხვრივ ურთიერთობაში იმყოფებიან. თუ მხოლოდ იმაზე გავამახვილებთ ყურადღებას, როგორ იყენებენ ელექტრონულ მედიას ინსტრუმენტად სხვადასხვა სამოქალაქო თუ პოლიტიკური მიზნებისთვის, სიბეცე იქნება, რადგან ამგვარი მიდგომა ყურადღების მიღმა ტოვებს იმ აქტორებსა და ინსტიტუციებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ჩუმად და შეუმჩნევლად აგრძელებენ ელექტრონული მედიის ინსტრუმენტების და სისტემების ფლობას, შექმნას, კონტროლს, რეგულირებასა და მონიტორინგს. აქედან გამომდინარე, კომუნიკაციის პოლიტიკა და ციფრული ტექნოლოგიები - ელექტრონული მედია - წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების ძირითად საკითხებს, რომლებიც საბოლოოდ გადაწყვეტს ექნება თუ არა სამომავლოდ ციფრულ ტექნოლოგიებს სამოქალაქო საზოგადოების ტრანსფორმაციული პოტენციალი.

თავი VI

ქართული საზოგადოებრივი გაერთიანებები და მათი მნიშვნელობა

თანამედროვე სამყაროში საზოგადოებრივი გაერთიანებები, რომლებსაც საქართველოში უმეტესწილად არასამთავრობო ორგანიზაციების სახელით იცნობენ და მოიხსენიებენ, საერთო ინტერესებისა და მიზნების საფუძველზე შექმნილ ორგანიზაციებს წარმოადგენენ. მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ ქვეყნის განვითარებაზე. დღეისათვის საქართველოში ასობით არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელთა ინტერესი და ძალისხმევა მიმართულია ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისკენ. ქართული არასამთავრობო ორანიზაციები ადგილობრივ მოქალაქეებს აწვდიან უფასო სერვისებს, იბრძვიან სუფთა გარემოსთვის, ხელს უწყობენ კანონმდებლობის დახვეწას, ამკვიდრებენ დემოკრატიულ ღირებულებებს და ა.შ. როდესაც მათ საქმიანობაზე ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანია საზოგადოების მათდამი ნდობა და დამოკიდებულებაც აღვნიშნოთ, რადგან არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას საზოგადოების ნაწილისგან ხშირად თან ახლავს მიუღებლობა და აგრესიაც კი.

✓ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება

1879 წლის 15 მაისს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი გაერთიანება, თანამედროვე გაგებით არასამთავრობო ორგანიზაცია - ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დაფუძნდა. აღნიშნულ გაერთიანებას საფუძველი ჩაუყარეს ილია ჭავჭავაძემ, დიმიტრი ყიფიანმა, იაკობ გოგებაშვილმა, აკაკი წერეთელმა, ივანე მაჩაბელმა და სხვა იმდროინდელმა პატრიოტებმა, რომელთაც გული შესტკიოდათ

ქვეყნის ბედზე და ცდილობდნენ თავიანთი წვლილი შეეტანათ მშობლიური ქვეყნის განვითარებაში და ამ მიმართულებით ბრძოლა განათლებით დაიწყეს.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ჩამოაყალიბა ეროვნული საგანმანათლებლო სისტემა, მისი ინიციატივით გაიხსნა სკოლები, ბიბლიოთეკები და სხვა სასწავლო დაწესებულებები, სალიტერატურო ენის დახვეწის მიზნით, გაატარა ენის რეფომა, რასაც ქართული ანბანიდან ხუთი მოძველებული არქაული ასოს ამოღება მოყვა. აღნიშნული საზოგადოების წევრები ეხმარებოდნენ მასწავლებლებს, მოსწავლეებს, სტუდენტებს საგანმანათლებლო საქმიანობა შეუფერხებლად რომ გაეგრძელებინათ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მნიშვნელოვნად შეცვალა ქართული საზოგადოების ყოფა და განვითარების ახალი შესაძლებლობები მოუტანა.

იმის გასააზრებლად, თუ რა როლი მიუძღვით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს ქვეყნის განვითარებაში, საკმარისი იქნება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობას გავეცნოთ.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას საქართველოსთვის ორი მთავარი დანიშნულება ჰქონდა:

პირველი უმთავრესი დანიშნულება ქართველებისთვის მშობლიური ენის შენარჩუნება იყო. ორგანიზაციის თითოეულ წევრს კარგად ესმოდა, თუ რაოდენ დიდ საშიშროებას წარმოადგენდა რუსული პოლიტიკა ქართული ენისა და ცნობიერებისთვის. „ეს გარუსება-გადაგვარება სასწავლებლიდან დაიწყეს. ქართული ენა ძაღლის ენად მონათლეს და მასზე ლაპარაკი აკრძალეს. ვინც ქართულად დაილაპარაკებდა, იმას გულზე წითელ ფირფიტას ჩამოჰკიდებდნენ, ზედ რომ ძაღლის ენა იყო გამოხატული," - იხსენებს თავის მოგონებებში ნინო ყიფიანი (დიმიტრი ყიფიანის შვილიშვილი).

მეორე დანიშნულება ქალთა როლისა და მნიშვნელობის წარმოჩენა იყო იმ საქმიანობაში, რომელსაც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ასრულებდა. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ამ პერიოდში ქალთა თანასწორობის იდეა,

განვითარებულ ევროპულ სახელმწიფოებშიც კი არ იყო სათანადოდ ფეხმოკიდებული.

„წერა-კითხვის გამავრცელებელთა საზოგადოებამ" საფუძველი დაუდო შემდგომში სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების არასამთავრობო ორგანიზაციების ჩამოყალიბებას. დღის წესრიგში დადგა თანაბარი უფლებების საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციამ 1923 წელს მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გამო არსებობა შეწყვიტა, მაინც მოახერხა წარუშლელი კვალი დატოვებინა საქართველოს ისტორიაში.

დასკვნა

სამოქალაქო საზოგადოებაზე ერთმნიშვნელოვანი დასკვნის დაწერა რთულია, რადგან ის არის ფენომენი, რომელიც მუდმივად ცვალებადია, დამოკიდებულია საზოგადოების განვითარების ტენდენციებზე და ყოველ ეპოქაში ხელახლა იბადება სხვადასხვა ფორმით, რათა უპასუხოს თანამედროვე გამოწვევებს.

როგორც წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომიდან ჩანს, სამოქალაქო იდეა არ არის ის კონცეფცია, რომლის ირგვლივ კონსესუსი მიიღწევა. ამ შემთხვევაში მარტივი საქმე არც დასკვნების გამოტანაა და არც განზოგადება. მაიკლ ვულქოქის[18] განმარტებას რომ დავესესხოთ, „როგორც აუცილებლად საკამათო ცნებამ“ - სამოქალაქო საზოგადოებამ არ უნდა შეწყვიტოს იმის მტკიცება, რომ მეტად საჭირო და წამახალისებელი ინსტრუმენტია, რომელიც ძირითადი სოციალური და პოლიტიკური საკითხების შესახებ ცოდნის გამყარებაში გვეხმარება. ჩვენ გაგვიჭირდებოდა პოლიტიკის მიმართულების, დემოკრატიის, სოციალური ურთიერთობებისა და საზოგადოებრივი ცვლილებების ახსნა იმ საშუალებების გვერდის ავლით, რომელთაც მოქალაქეები ორგანიზებისა და საერთო მიზნების გარშემო გაერთიანებისთვის, იდეების გახმოვანების, დისკუსიებისა და იმ ხედვების ხორცშესხმისთვის იყენებენ, რომლებიც თითოეული მათგანის თემის მომავალს განსაზღვრავს. ვფიქრობ, დისკუსი სამოქალაქო საზოგადოების ირგვლივ სირთულესა და განსხვავებას გამოააშკარავებს.

რაც უფრო გამდიდრდება სამოქალაქო საზოგადოების ირგვლივ არსებული ლიტერატურა არადასავლური და არატრადიციული თვალსაზრისით, მით უფრო შესამჩნევი გახდება სკოლებს შორის განსხვავება, რასაც შესაძლოა ბევრი ფართოდ აღიარებული მოსაზრების კითხვის ქვეშ დაყენება მოყვეს. დავუშვათ, რომ

---

[18] **მაიკლ ვულქოქი** - მსოფლიო ბანკის განვითარების კვლევითი ჯგუფის უფროსი სოციალური მეცნიერი, სოციალური მეცნიერებისა და განვითარების პოლიტიკის პროფესორი, მანჩესტერის უნივერსიტეტის ბრუქსის მსოფლიო სიღარიბის ინსტიტუტის დამაარსებელი კვლევითი დირექტორი

სამოქალაქო საზოგადოებები მომავლის ხედვაზე შეთანხმდნენ, ამ შემთხვევაშიც კი მოსალოდნელია, რომ აქცენტი განსხვავებულ მახასიათებლებზე გაკეთდება, რომელიც სოციალურ იდენტობას, სახელმწიფოს როლს და სხვა მნიშვნელოვან საკითხს ეხება.

ასოციაციური ცხოვრების სტრუქტურა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შედეგებზე. არ არებობს მექანიზმი, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებდა სამოქალაქო საზოგადოების ფორმებს, ნორმებს და მიღწევებს. შესამჩნევი განსხვავებაა ისტორიაში, კულტურაში, დაფინანსების მექანიზმებსა და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებში. ამ ცვლილებას მკვლევარები და თეორეტიკოსები სხვადასხვანაირად აღწერენ: „პროფესიონალიზაცია“, „ენჯეოზაცია“, „ჰიბრიდიზაცია“...

ციფრული ტექნოლოგიებისა და ელექტრონული მედიის განვითარება, გარკვეულწილად, მოქალაქეთა ჩართულობის ახალ, თანამედროვე ფორმებს აყალიბებს. აქედან გამომდინარე ჩნდება კითხვა: ელექტრონული განვითარების ფონზე სამოქალაქო საზოგადოებრივი გაერთიანებების როლი და იდეა დაღმასვლას ხომ არ განიცდის? ამ ცვლილებებსა და განვითარებას რა ეფექტის მოხდენა შეუძლია, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა ელექტრონული მედიის გავლენა დღითიდღე იზრდება. იგი სამოქალაქო აქტივობებისა და ორგანიზების წყარო და სოციალური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი ხდება.

შეუძლებელია სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება იმ ფონზე, როდესაც ნიადაგი ეცლება იმ ელემენტებს, რომლებიც ეხმარებიან ადამიანებს გახდნენ უკეთესი მოქალაქეები. სამოქალაქო ცხოვრების ირგვლივ მიმდინარე დებატებში უთანასწორობასა და სხვადასხვა ტიპის ძალთა ურთიერთობებს ნაკლები ყურადღება ექცევა. შესაძლებელია ეს იმითაც იყოს გამოწვეული, რომ უთანასწორობები ხშირ შემთხვევაში თავად გაერთიანებებში წარმოიშობა. სიღარიბის, უთანასწორობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფოსა და ბაზრების ჩარევასაც მოითხოვს, მაგრამ სამოქალაქო საზოგადოება არ უნდა გახდეს ამ ინსტიტუტების

ტყვე, რათა აიძულოს ისინი, პასუხი აგონ საზოგადოების წინაშე და ასევე იმოქმედოს, როგორც ნორმებისა და ფასეულობების გამტარმა.

სამოქალაქო საზოგადოება, როგორც კონცეფციებისა და პრაქტიკის სინთეზი, მაშინაა ფასდაუდებელი, როდესაც მთავრობისა და ბიზნესის პარტნიორია, და არა მათი ტყვე, როდესაც მას საკუთარი არსის გამო უჭერენ მხარს და არა იმისთვის, რომ იგი მთავრობების ან ბაზრის კრახის შედეგს წარმოადგენს.

როგორც ებენეზერ ობადარე[19] ამბობს, *სამოქალაქო საზოგადოების კრიტიკა აფრიკაში და სხვა ქვეყნებში ლეგიტიმურია, მაგრამ საჭიროა არ შემოვიფარგლოთ მხოლოდ „მძაფრი რეაქციებით“ იმისთვის, რათა კიდევ უფრო გავააქტიუროთ სამეცნიერო ძიება უფრო ღრმა და სასარგებლო ხედვებისა და მიგნებებისთვის* (ლიტ: „სამოქალაქო საზოგადოება სუბსაჰარულ აფრიკაში“, ებენეზერ ობადარე).

სამოქალაქო საზოგადოების ჩაკეტვა ერთი კონკრეტული გამოცდილების კონტექსტსა თუ ინტერპრეტაციაში, თავად სამოქალაქო საზოგადოების სულისკვეთებას ეწინააღმდეგება. სწორედ ეს გამოწვევა - განსხვავებებისა და მრავალფეროვნების ჩაქსოვა „ადამიანური ურთიერთობების გეომეტრიაში“, მიანიჭებს ფორმასა და შინაარსს სამოქალაქო საზოგადოების თეორიასა და პრაქტიკას კიდევ დიდი ხნის განმავლობაში.

[19] **ებენეზერ ობადარე** - სოციოლოგიის ასოცირებული პროფესორი კანზასის უნივერსიტეტში, ლოურენსში, ფლობს ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკური მეცნიერებების სკოლის მიერ მინიჭებულ დოქტორის ტიტულს სოციალურ პოლიტიკაში

ბიბლიოგრაფია:

1. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი; თბ. 2004 წ. ISBN 99928-926-9-2;
2. ოქსფორდის სამოქალაქო საზოგადოების სახელმძღვანელო, თბილისი, 2019 წელი;
3. თავისუფლება, სამართლიანობა და დემოკრატია ქართულ აზროვნებაში, თბილისი, 2019;
4. მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო, 2016;
5. დროის ბანკის არსი და მუშაობის ინსტრუქციები;
6. სახელმწიფო და საზოგადოება საქართველოში, პაატა იაკაშვილი;
7. პეტიცია - ხალხის ხმა თვითმმართველობაში, თუ უბრალოდ ფორმულირება კანონში? თეონა კაკაციძე;
8. "The weakness of civil society in post-communist europe", Mark Morje Howard, Cambridge University press, 2003
9. დროის ბანკი - საკითხავი ახალ მოხალისეობაზე, განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი, 2021 წელი
10. საკითხავი ახალ მოხალისეობაზე, © განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი, 2020 წელი
11. „ალექსის დე ტოკვილი და თანამედროვე სამოქალაქო ასოციაციები", ნინა ელიასოფი
12. „დაბრკოლებები ცივილურობის მოქალაქეობრიობასთან დაკავშირების გზაზე", ნინა ელიასოფი
13. საქართველოს კანონი „მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების შესახებ";
14. „სამოქალაქო საზოგადოება და ადამიანური ურთიერთობების გეომეტრია", მაიკლ ედვარდსი
15. „სამოქალაქო საზოგადოება, როგორც აუცილებელი და აუცილებლად საკამათო იდეა", მაიკლ ედვარდსი
16. სამოქალაქო საზოგადოება, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, 2014

ინტერნეტ რესურსები:

1. არასამთავრობო ორგანიზაციების 140 წელი საქართველოში - https://gdi.ge/ge/news/140celi.page
2. საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, ევროინტეგრაციისა და ბიზნესკომპანიების მიმართ - https://csogeorgia.org/storage/app/uploads/public/5cd/c9b/bd1/5cdc9bbd109a9882421458.pdf
3. საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების რეფორმის კონცეფცია - https://csogeorgia.org/storage/app/uploads/public/5cd/c9b/a34/5cdc9ba34364f740202692.pdf

4. საზოგადოებრივი ორგანიზაციების არასახელმწიფო დაფინანსება საქართველოში - https://csogeorgia.org/storage/app/uploads/public/5e5/3de/2f1/5e53de2f1edc8646526761.pdf
5. როგორ იმართება საზოგადოებრივი ორგანიზაცია - https://www.ctc.org.ge/wp-content/uploads/2020/07/CTC_who-really-Governms_Georgian-1.pdf
6. საქართველოს სამოქალაქო სექტორის შეფასება - https://www.ctc.org.ge/wp-content/uploads/2020/01/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-2019-compressed.pdf
7. საზოგადოების დამოკიდებულება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიმართ - დისკუსიის პროცესის ანგარიში - https://www.ctc.org.ge/wp-content/uploads/2019/12/Civil-Society-Report-2012-2.pdf
8. ადამიანის განვითარების ინდექსის მიღმა: ადამიანზე ორიენტირებული განვითარების შეფასება საქართველოში - http://css.ge/wp-content/uploads/2019/07/nani_beyond_geo.pdf
9. ონლაინ სასწავლო პროგრამა - http://www.e-learning.ge/
10. რა არის სახელმწიფო? - https://nes-g.org/ka/articles-ge/2019-11-26-10-46-10
11. საქართველოს სოციალური კაპიტალის სიმცირის მიზეზები - http://nasrashvili.blogspot.com/2011/05/blog-post.html
12. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკა და წევრები - https://www.nplg.gov.ge/?m=257